განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: კევინ კენდელი, ხარისხის კონტროლის დამოუკიდებელი ექსპერტი, გაერთიანებული სამეფო.

წევრები:

გიორგი ჩაკვეტაძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ირაკლი ხვთისიაშვილი, ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, STAB.

ეკატერინე ბაკარაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

ნანა დიხამინჯია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნათია ანდღულაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი

2018

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

თელავის უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობს საქართველოში, ქალაქ თელავში, წარმოადგენს ავტონომიურ, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც 1999 წელს მიენიჭა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი. უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს 30 საგანმანათლებლო პროგრამას, საიდანაც 14 განეკუთვნება ბაკალავრიატს, 10 მაგისტრატურას, ხოლო 4 დოქტორანტურას. დანარჩენი ორი პროგრამა წარმოადგენს მასწავლებელთა მომზადების და ქართულ ენაში მოსამზადებელ პროგრამებს. პროგრამები ისწავლება ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში ირიცხება 1324 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული აქვს 595 სტუდენტს. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებიდან 1,159 სწავლობს ბაკალავრიატზე, 90 მაგისტრატურაზე, ხოლო 34 დოქტორანტურაზე. ასევე, 14 სტუდენტი ჩარიცხულია 60 კრედიტიან მასწავლებელთა მომზადების პროგრამაზე. უნივერსიტეტის პერსონალი შედგება 330 წევრისგან, საიდანაც 104 აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება, 96 კი ასოცირებულია.

უნივერსიტეტის ვებგვერდის თანახმად (www.tesau.edu.ge) მის დაქვემდებარებაში შედის 5 ფაკულტეტი, სახელდობრ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, აგრარულ მეცნიერებათა, განათლების მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტები. პროგრამები მოიცავს ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ინგლისურ ენასა და ლიტერატურას, სასურსათო ტექნოლოგიას, აგრონომიას, მევენახეობას, დაწყებით განათლებას, ბიოლოგიას, ეკოლოგიას, კლიმატოლოგიას, ინფორმაციულ ტექნოლოგიას, მათემატიკას, ბიზნესის ადმინისტრირებას, სამართალს, საჯარო მმართველობას, ტურიზმს, ეკონომიკასა და მასწავლებელთა მომზადებას.

თელავის უნივერსიტეტის მისიაა:

- *ამა თუ იმ სფეროში კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, მორალურად მტკიცე კურსდამთავრებულების მომზადება, რომელთაც სწამთ დემოკრატიული ღირებულებების, დემოკრატიის პრინციპებისა და ჰუმანიზმის.*
- *რეგიონალური მახასიათებლების გათვალისწინებით აგროკულტურულ მეცნიერებაში ცოდნის შექმნა, შენახვა და გაზიარება.*
- *რეგიონალური განვითარების კუთხით ტურისტული პერსპექტივის გაზრდა და ამ სფეროში განათლების ამაღლება;*
- *საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;*
- *არსებობის განმავლობაში განათლების პოპულარიზებისთვის გამიზნული ღონისძიებების ორგანიზება და განათლების ინტერნაციონალიზაცია.*

2025 წლისათვის უნივერსიტეტის ხედვაა:

- *რეგიონის მოსახლეობასა და კახეთში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის ყველაზე მოთხოვნად სასწავლო დაწესებულებად ქცევა.*
- *ტურიზმის, განათლებისა და აგრიკულტურის სფეროებში ერთ-ერთ ინოვაციურ უნივერსიტეტად ქცევა.*
- *კახეთის რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკურ, საჯარო და სოციალურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.*

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

საავტორიზაციო აქტივობები ორგანიზებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რომელმაც, ასევე, დანიშნა ჯგუფის წევრები. ვიზიტის დაწყებამდე უნივერსიტეტმა შეადგინა თვითშეფასების ანგარიში (SER) და თანმხლები მტკიცებულებებით ჯგუფს წარუდგინა განსახილველად. თელავის უნივერსიტეტში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 26-28 მაისს. ვიზიტის ფარგლებში ჯგუფმა მოაწყო 28 შეხვედრა პერსონალთან და სტუდენტებთან, ასევე, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ჯგუფმა ასევე მონაწილეობა მიიღო ტურში უნივერსიტეტის კუთვნილ ობიექტებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ჯგუფმა უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების ავტორიზაციის 7 სტანდარტის მიხედვით შეაფასა და დაადგინა, რომ იგი შეესაბამება 3 სტანდარტს, მეტწილად შესაბამისობაშია 2 სტანდართან და ასევე 2-თან ნაწილობრივ არის შესაბამისობაში.

უნივერსიტეტი შეესაბამება პირველ სტანდარტს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სკოლებთან და კომპანიებთან თანამშრომლობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, და მხარს უჭერს კახეთის რეგიონის განვითარებას. ამ სტანდარტში რეკომენდაციები არ გაცემულა.

უნივერსიტეტი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მე-2 სტანდარტს: უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი. ამ სფეროში გაიცა 7 რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის, AEMS სისტემის, თანამედროვე კვლევის ტექნოლოგიების, პლაგიატების გამოვლენის და პრევენციის, ეთიკის კოდექსის შესახებ ცნობიერების ამაღლების თაობაზე და ორი რჩევა აკადემიური თავისუფლებისა და PDCA ციკლის პროცესების განხორციელებაში ჩართვის შესახებ.

უნივერსიტეტი შეესაბამება მე-3 სტანდარტს: საგანმანათლებლო პროგრამები. ამ სფეროში გაიცა 8 რეკომენდაცია, მათ შორის დამსაქმებლებთან კომუნიკაციის, ბაზრის კვლევის, კურსის შექმნის, პროგრამების კატალოგის, შეფასების სისტემების და კურსდამთავრებულთა მომზადება-დასაქმების შესახებ. არსებობს კონკრეტული წინადადებები, რომლებიც შეეხება ზოგიერთ კურსზე შეფასების სისტემის განხილვას.

უნივერსიტეტი შეესაბამება მე-4 სტანდარტს: უსდ-ის პერსონალი. ამ სფეროში გაიცა 2 რეკომენდაცია, მათ შორის პერსონალის თეორიული და პრაქტიკული სასწავლო აქტივობების ურთიერთკავშირის შესახებ. ასევე არსებობს ორი რჩევა სამოტივაციო გეგმისა და მოწვეულ ლექტორთა რაოდენობის ზრდის შესახებ.

უნივერსიტეტი შეესაბამება მე-5 სტანდარტს: სტუდენტები და მათი დამხმარე მომსახურეობები. ამ სფეროში გაიცა 3 რეკომენდაცია, მათ შორის დამოუკიდებელი სტუდენტური სერვისცენტრის შექმნის, AEMS სისტემის ფუნქციონირებისა და საერთაშორისო საქმიანობაში უფრო მეტი სტუდენტის ჩართვის თაობაზე.

უნივერსიტეტი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მე-6 სტანდარტს: კვლევა, განვითარება ან სხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობა. ამ სფეროში გაიცა 9 რეკომენდაცია, მათ შორის კვლევის სტრატეგიის, კვლევის პროდუქტიულობის, კვლევითი სტანდარტების, შეფასების

კრიტერიუმების, მხარდაჭერის, ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვისა და კვლევის შედეგების გავრცელების შესახებ. აქ სახეზეა ადგილობრივ ბიზნესსა და ადგილობრივ მთავრობას შორის კომუნიკაციისა და უნივერსიტეტის ხედვის გაზიარების საუკეთესო პრაქტიკული მაგალითი.

უნივერსიტეტი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მე-7 სტანდარტს: მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები. გაიცა 8 რეკომენდაცია, მათ შორის ინფრასტრუქტურის, სარემონტო სამუშაოების, ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო სისტემების, შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ხელმისაწვდომობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ვებგვერდის ხელმისაწვდომობისა და სასწავლო მართვის სისტემის შესახებ.

რეკომენდაციები

1. ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის დეტალური გეგმის შემუშავება და მისი სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2.1).
2. წარმატებული ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ეფექტურობის გაზრდა (2.1).
3. AEMS-ის სისტემაში აუცილებელი ფუნქციების დამატების მიზნით დეტალური გეგმისა და ვადების შემუშავება. (2.1)
4. თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების დანერგვა კვლევის სისტემების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად (2.2).
5. პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მკაფიო მექანიზმების შემუშავება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა (2.3).
6. სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერების ამაღლება ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით (2.3).
7. დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება არსებული შემოთავაზებების ეფექტურად განხორციელების მიზნით (3.1).
8. საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის უფრო ხშირი კვლევა და მისი ადაპტირება, ბაზრის ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით. მაგ. პროგრამებში პრაქტიკაზე მეტად ორიენტირებული და განახლებული სასწავლო კურსების დამატება (3.1).
9. სიზუსტის უზრუნველსაყოფად ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგების განახლება (3.2)
10. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა, რათა კურსდამთავრებული ეფექტურად მომზადდეს დასაქმებისათვის (3.2).
11. სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის მეთოდოლოგიის შემუშავება, ინდივიდუალური პროგრამებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, ასევე მატერიალირ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა (3.2).
12. უცხო ენის ცოდნა უნდა განისაზღვროს თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რათა სტუდენტებს დაბრკოლებების გარეშე შეეძლოთ კვლევის ჩატარება (3.2).
13. ლექციების ფარგლებში, რეგიონალური კერძო და საჯარო სექტორიდან პროფესიონალების მოწვევა, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით (4.1).

14. ბიუჯეტის ზრდის განხილვა, პერსონალისთვის სრულყოფილი ტრენინგების ჩატარების მიზნით (4.1).
15. AEMS -ის ყველა ფუნქციის ამოქმედება. სტუდენტების სრული ჩართულობა სისტემის ფუქნციონირებაში.
16. დამოუკიდებელი სტუდენტური სერვის-ცენტრების შექმნა, რომელიც მხარს დაუჭერს სტუდენტურ აქტივობებს, ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას და გასცემს საჭირო რჩევებს (5.2).
17. სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში, მაგალითად, გაცვლით პროგრამებში უფრო მეტად ჩართულობის ხელშეწყობა (5.2).
18. კვლევის ნაყოფიერებისა და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების ზრდა (6.1).
19. საუნივერსიტეტო პუბლიკაციებისთვისა და სხვა საგამავრცელებლო საქმიანობებისათვის სტანდარტების დაწესება, რათა არ გავრცელდეს ისეთი სამეცნიერო ნამუშევარი, რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ აკადემიურ სტანდარტებს (6.1).
20. იმგვარი შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური საქმიანობის მაღალ სტანდარტებს (6.1).
21. საუნივერსიტეტო კვლევის მხარდამჭერი საქმიანობის დაკავშირება კვლევის განვითარების მკაფიოდ განსაზღვრულ გამოწვევებთან (6.2).
22. ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს კონკურენცია გაუწიოს სხვა უნივერსიტეტებს ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვის პროცესში. (6.2).
23. უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობითი საქმიანობის მის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და განვითარების საჭიროებებთან დაკავშირება (6.2).
24. ცალკეული განყოფილებების კვლევის შედეგების შიდა მიმოხილვის სისტემის ჩამოყალიბება კვლევის შედეგების გაუმჯობესების მიზნით (6.3)
25. უნივერსიტეტის პუბლიკაციების ხარისხიანი და ეთიკური კვლევის მკაფიო ინდიკატორების ჩამოყალიბება (6.3).
26. საუნივერსიტეტო კვლევის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (6.3).
27. შენობების რეაბილიტაცია სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად (7.1).
28. დარწმუნდით, რომ ყველა შენობას აქვს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო სისტემები (7.1).
29. დარწმუნდით, რომ ყველა ნაგებობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე (7.1).
30. დარწმუნდით, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია ინგლისურ ენაში, რათა ეფექტური დახმარება გაუწიონ სტუდენტებს ელექტრონულ ბაზაში (7.2).
31. ბიბლიოთეკის საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფა თანამშრომლებისა და სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (7.2).
32. რეგულაციების შემუშავება მოსწავლეების მიერ არასათანადო ან სახიფათო ვებ-გვერდების ხელმისაწვდომობის შესაზღუდად (7.3).

33. სწავლის მართვის სისტემის ფუნქციონირების გაზრდა განათლების პროცესის ეფექტურობის ზრდის უზრუნველსაყოფად (7.3).
34. უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების მიზნით, მოიძიეთ თანხები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (7.4).

რჩევები

1. განიხილეთ PDCA ციკლის დანერგვა პროცესების განხორციელების საქმეში (2.2).
2. მკაფიოდ განსაზღვრეთ აკადემიური თავისუფლების პრინციპები და მათი მხარდაჭერის მექანიზმები ეთიკის კოდექსში (2.3).
3. კურსის სპეციფიკაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის მიმოხილვა.
4. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ფინანსური მოტივაციის გეგმის დანერგვა თანამშრომელთა მხრიდან ვალდებულებების შესრულების ხარისხის ასამაღლებლად (4.1).
5. ქართველი და უცხოელი მოწვეული ლექტორების რაოდენობის ზრდის განხილვა (4.2).

საუკეთესო პრაქტიკები

1. ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კომპანიებთან და სკოლებთან თანამშრომლობა კახეთის რეგიონის განვითარების ხელშესაწყობად (1.1).
2. კომუნიკაცია და საუნივერსიტეტო ხედვის გაზიარება უნივერსიტეტსა და ადგილობრივ ბიზნესსა თუ ხელისუფლებას შორის (6.1).

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐

1.1	უსდ-ს მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი და შემუშავება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1.	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2.	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1.	სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☐	☒	☐
6.1.	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2.	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3.	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2.	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ხელმოწერა:

1. კევინ კენდალი/ Kevin Kendall (თავმჯდომარე)

2. ეკატერინე ბაკარაძე (ექსპერტი)

3. ნანა დიხამინჯია (ექსპერტი)

4. ნათია ანდღულაძე (ექსპერტი)

5. ირაკლი ხვთისიაშვილი (ექსპერტი)

6. გიორგი ჩაკვეტაძე (ექსპერტი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება დაწესებულების მიზნებს და აღწერს ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მისია განსაზღვრავს მის როლს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. თანამშრომლებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, მისია პასუხობს კახეთის რეგიონის გამოწვევებს, ბოლო წლების განმავლობაში რეგიონში პრიორიტეტები შეიცვალა, ხოლო უნივერსიტეტი ახალი შესაძლებლობებისადმი მოქნილია. უნივერსიტეტში პერსონალთან, სტუდენტებთან, საზოგადოებასთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური ინტერვიუებისა და შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე პანელმა გამოავლინა სამი ძირითადი პრიორიტეტი: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და განათლების სფერო. შეხვედრებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი მოხსენების თანახმად, სამუშაო გეგმა განხორციელდა და მონაცემთა ანალიზისა და შეგროვების პროცესის მხარდასაჭერად შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი. შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკადემიურმა საბჭომ შეიმუშავა მისიის დებულება და სტრატეგიული განვითარების გეგმა, ამ პროცესის მეშვეობით უნივერსიტეტში სამი პრიორიტეტი ინერგება და მათ ყველა თანამშრომელი იზიარებს. უნივერსიტეტი გეგმავს ახალი კვლევების განვითარებას, კერძოდ ღვინის წარმოებას, მარცვლეულის ანალიზს, სოფლის მეურნეობის რუკების შედგენას, ნიადაგის ანალიზს, მიკრობიოლოგიურ ანალიზს, რეგიონისა და სოფლის ისტორიის კვლევებს. ამჟამად სამუშაოების უმრავლესობა ანალიტიკური ხასიათისაა, მაგრამ უნივერსიტეტი სამომავლოდ კვლევითი საქმიანობის უფრო მეტად განვითარებას გეგმავს. კახეთის რეგიონის სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისათვის ქვეყნის მასშტაბით განვითარების პერსპექტივით კულტურული ტურიზმი და აგრობიზნესი ძირითადი გამოწვევებია. შესაბამისად, მისიის დებულებაში ამაზე აქცენტი გამახვილებულია. მისია ეფუძნება ქართულ და ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს; იგი განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს და ადგილს. ასევე, ითვალისწინებს რეგიონის სპეციფიკას და ემყარება უნივერსიტეტის მიზნებს, რომელთაც საზოგადოებაც იზიარებს. უნივერსიტეტის მისია სრულად იზიარებს სტუდენტების,

თანამშრომლების, დამსაქმებლებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინტერესებს. ამავდროულად, უნივერსიტეტი აწვდის კვალიფიციურ მასწავლებლებს მთელ რეგიონს და ასრულებს მის მესამე პრიორიტეტს. უნივერსიტეტი წარმოადგენს მასწავლებლების სტრატეგიულ მიმწოდებელს მთელი რეგიონისთვის. სტრატეგიულ მიზნებში მითითებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური განვითარება. ამავდროულად, უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს პოტენციურ დამსაქმებლებთან და მონაწილეობას იღებს დასაქმების ფორუმებში, რითაც ხელს უწყობს სტუდენტების პოტენციურ დასაქმებას. თუმცა კარიერული განვითარების დეპარტამენტი მცირე ხნის წინ შეიქმნა და საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებასა და ზრდას. უნივერსიტეტი აწყობს სხვადასხვა ტიპის სოციალურ აქტივობებს გარემოს დაცვის სფეროში, ატარებს საჯარო ლექციებს და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება ეკო-ბიოლოგიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესებთან დაკავშირებით ცოდნის მიღებაში .
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ინტერვიუები რექტორთან, ვიცე-რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დეკანებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ საბჭოსთან, დამსაქმებლებთან, კარიერული ზრდისა და განვითარების მენეჯერთან. მისიის დებულება (CD 2-ის თანდართული ფაილი 1.1.). ურთიერთგაგების მემორანდუმები თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ აქტივობათა ჩამონათვალი. ვებგვერდი (tesau.edu.ge).
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კომპანიებთან და სკოლებთან თანამშრომლობა კახეთის რეგიონის განვითარების მხარდაჭერის მიზნით.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
• უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). • უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. • უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა სრულად უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას. უნივერსიტეტმა დაამტკიცა 7-წლიანი სტრატეგიული განვითარებისა და 3-წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. მიზნები დროთა განმავლობაში მიღწევადია, მათი შესრულების შედეგები ექვემდებარება გაზომვას და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. სტრატეგიული განვითარება და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების რეგლამენტის შესაბამისად.

სტრატეგიული დაგეგმვის რეგულაციის მიხედვით, უნივერსიტეტი ახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგსა და ანალიზს. ინტერვიუებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის თითოეული დეპარტამენტი ჩართულია მიზნების შეფასების პროცესში. მიზნები დადგენილია სამოქმედო დონეზე და კონტროლდება უნივერსიტეტის საშუალო რგოლის მიერ.

თანამშრომლობის შედეგად, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები კარგად იცნობენ იმ ძირითად მიზნებს, რომლებიც პანელის მიერ გამართულ შეხვედრებზე ძალიან მკაფიოდ დაისვა. მიზნები მიმართულია სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და სოციო-კულტურული პასუხისმგებლობის შემდგომი განვითარებისკენ. უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის იერარქიული მექანიზმი.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მიზნად ისახავს კახეთის რეგიონის განვითარებისთვის საზოგადოებას წარუდგინოს კულტურული ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და განათლების სფეროში ჩატარებულ კვლევათა შედეგები. დასაქმების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი მონაწილეობს კარიერულ ფორუმებში, ხოლო სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი გარემოს დაცვით საქმიანობაში.

უნივერსიტეტი ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს მხარდაჭერაზე, იგეგმება პირველი კორპუსის რეაბილიტაცია, ელექტროსისტემის გამოცვლა და ლიფტის დამონტაჟება მთავარ შენობაში. 2018 წლის ბიუჯეტის თანახმად, უნივერსიტეტის შიდა ბიუჯეტი ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის მხოლოდ 50,000 ლარით განისაზღვრება.

თითოეულ სექტორთან ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებს გააზრებული აქვთ თავიანთი ძირითადი პრიორიტეტები და წვლილი რეგიონის განვითარების საქმეში.

ჯამში, სტრატეგიული გეგმა მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის განვითარებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფექტურია, მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომელშიც აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სხვადასხვა სექტორი. ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარეობს სტუდენტური ორგანოს ჩამოყალიბების პროცესი, რომლის ნაწილიცაა კვლევითი საქმიანობა. მატერიალური რესურსები, სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა თანდათან უმჯობესდება, თუმცა საჭიროა დამატებითი კაპიტალი არსებული მიზნების სრულად განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში აქტიურად უჭერენ მხარს შოთა რუსთაველის

ფონდი და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. ინტერვიუების თანახმად, სხვადასხვა კერძო რეგიონალური ღვინის ქარხნებიც მნიშვნელოვნად ეხმარებიან უნივერსიტეტს კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, რათა ხელი შეუწყონ მიმდინარე კვლევით საქმიანობებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დეკანებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ საბჭოსთან, დამსაქმებლებთან, კარიერული ზრდისა და განვითარების მენეჯერთან, მატერიალური რესურსების მენეჯერთან, წარმომადგენლობით საბჭოსთან. 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა 2018 3-წლიანი სამოქმედო გეგმა 2018 უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (CD 2-ის თანდართული ფაილი 1.2.); უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის წესი (CD 2-ის თანდართული ფაილი 1.3.); საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ საქმიანობათა ჩამონათვალი (CD 2-ის თანდართული ფაილი 1.4.); უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის რეალიზაციის მექანიზმები (CD 2-ის თანდართული ფაილი 1.5.); თესაუ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები (სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით) (CD 2-ის თანდართული ფაილი 1.6). ვებსაიტი (tesau.edu.ge).
რეკომენდაციები: არცერთი.
რჩევები: არცერთი.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, ძირითადად, თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი საქმიანობის განხორციელებას და მისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები სწორადაა განაწილებული. სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ფუნქციებს ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ.

უნივერსიტეტის მენეჯმენტი იყენებს "საქმიანობის ადმინისტრირების ერთიან წესს" და "მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმს და შეფასების სისტემას". უნივერსიტეტის ადმინისტრაციული წესები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის და წარმოდგენილია ვებ-გვერდზე. "მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა" ძირითადად განსაზღვრავს კვლევათა ჩატარების პროცედურებს სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალის შორის. მონიტორინგის მექანიზმების ეტაპები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- კითხვარების მომზადება;
- კვლევის ჩატარება;
- კვლევების შედეგად შეგროვებული მონაცემების დამუშავება;
- მონაცემთა დამუშავების საფუძველზე დასკვნების გამოტანა;
- რეკომენდაციების მომზადება;
- რეკომენდაციებით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელება და / ან პრობლემებზე რეაგირება

ეს დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს:

1) აკადემიური პერსონალის შეფასების პროცედურებს, სადაც პერსონალის მიერ ჩატარებული თითოეული საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა შეფასებულია ქულებითა და შეჯამება.
2) ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების პროცედურებს, ძირითადად მათი ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით.

მიზანშეწონილია, რომ "მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემის" მიხედვით განისაზღვროს მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგისათვის აუცილებელი მექანიზმები და კრიტერიუმები (კითხვარებისა და წლიური ანგარიშების გარდა).

მართვისათვის უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ საინფორმაციო ტექნოლოგიებს: ელექტრონულ სისტემას Doc Flow (eflow.emis.ge) და ავტომატური განათლების მართვის სისტემას (AEMS).

უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები ადრესატს წარედგინება ელექტრონული სამუშაოების მართვის სისტემის Doc FLow მეშვეობით. უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის ოფისი, რომელიც მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციას (მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით). განათლების მართვის ავტომატური სისტემა (AEMS) ნაკლებადაა განვითარებული (დეტალები მოცემულია სტანდარტული 7.3 - საინფორმაციო რესურსებით) და დღეს ბაზარზე არსებულ სხვა სასწავლო მენეჯმენტის სისტემებთან შედარებით ნაკლებად ფუნქციონირებს. სისტემა შემუშავებულია დაქირავებული პროგრამული დეველოპერის მიერ სხვა აუცილებელ ფუნქციათა დასამატებლად, რომელიც განისაზღვრება დოკუმენტით "ელექტრონული მომსახურებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ" (CD 8-ის თანდართული ფაილი 7.18), თუმცა მენეჯმენტს არ წარუდგენია მკაფიო გეგმა სისტემის განვითარების შესახებ. AEMS-ის განვითარების დეტალური კონცეფციისა და ვადის არსებობა გაზრდის სისტემის განვითარების პროცესის ეფექტურობასა და მდგრადობას. ასევე აუცილებელია ამ პროცესის ინტეგრირება 3-წლიან სამოქმედო გეგმაში.

საჭიროა გაუმჯობესდეს ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, განსაკუთრებით კი ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურების, ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების ეფექტურობა. იმისათვის, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევა სრულად იქნას უზრუნველყოფილი, მიზანშეწონილია სტუდენტთა სერვისების, კვლევის, ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო სერვისების ქვეშ მოხსენიებულ საკითხებს მოგვიანებით მიემართოთ ამ ანგარიშში.

ამჟამად სტუდენტური სერვისები იყოფა რამდენიმე ერთეულად:

1) ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეები მუშაობენ სტუდენტთა ძირითად საჭიროებებზე, როგორიცაა ახალი სტუდენტების კოორდინაცია, არჩევითი კურსების დაგეგმვა და სხვა მსგავსი საკითხები.

2) კარიერული ზრდისა და განვითარების მენეჯერი სტუდენტებს ეხმარება სტაჟირებასა და სამუშაო ადგილების მოძიებაში.

3) სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს სტუდენტთა მოთხოვნების გაცნობას უნივერსიტეტის მმართველობასთან და მათთვის სხვადასხვა დამატებით აქტივობებს გეგმავს.

4) კულტურის კოორდინატორი სტუდენტებისთვის კულტურული სახის აქტივობებს ხელმძღვანელობს.

5) სპორტის კოორდინატორი სტუდენტებისთვის სპორტული სახის აქტივობებს ხელმძღვანელობს.

ამ გზით სტუდენტთა საჭიროებები ერთ ერთეულში არ არის თავმოყრილი, რაც ართულებს სტუდენტების საჭიროებების საერთო სურათის დანახვას, მათ პრიორიტეტიზაციას და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

თვითშეფასების მიხედვით, უნივერსიტეტი გეგმავს ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციას მიმდინარე მოთხოვნილებებისა და შესწორებული მისიის მიხედვით, თუმცა

უნივერსიტეტის მენეჯმენტთან გასაუბრების შედეგად არ არის ნათელი, თუ რა სახის ოპტიმიზაცია იგეგმება. ოპტიმიზაცია აღნიშნულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, მაგრამ ყოველგვარი დეტალების გარეშე. თუ უნივერსიტეტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ოპტიმიზაციას გეგმავს, აუცილებელია ოპტიმიზაციის გეგმისა და ვადების შემუშავება, აგრეთვე არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ხარვეზების გამოყოფა იმის დასადგენად თუ როგორ უნდა განხორციელდეს ოპტიმიზაცია და რა სარგებელს მიიღებს უნივერსიტეტი აღნიშნული პროცესისაგან.

უნივერსიტეტს გააჩნია კანონის შესაბამისი გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები არჩევნებისა და მართვის ორგანოებში თანამშრომელთა დანიშვნისათვის.

აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დროულად და ეფექტურადაა მიღებული, თუმცა გამოითქვა რამდენიმე უარყოფითი მოსაზრება აკადემიური პერსონალის არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც ეთიკის კომიტეტის მიერ ან ფორმალური საჩივრებით იქნა გადაწყვეტილი. უნივერსიტეტმა შეცვალა პერსონალის დანიშვნის პროცედურები, რომელიც ახლა ითვალისწინებს გარე ექსპერტების მოწვევასაც, რათა პროცედურები უფრო საიმედო გახდეს. მენეჯმენტზე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე დაყრდნობით განხორციელებულმა ცვლილებებმა გაზარდა არჩევნების შედეგების მიმართ ნდობის ხარისხი.

უნივერსიტეტმა ახლახან შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (BCP), რომლის ფუნქციებია:

- კრიტიკული მოვლენების იდენტიფიკაცია;
- ბიზნესის დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი რესურსების ჩამოყალიბება;
- ბიზნეს-პროცესის უწყვეტობა და ჩვეულებრივი რეჟიმის მინიმალური დროში დაბრუნება.

უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და საერთაშორისო კვლევებში თანამშრომლობას. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი ძალიან ზოგადია, აღწერს ადრინდელი საქმიანობის შედეგებს და ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებს, მაგრამ არ სთავაზობს რაიმე კონკრეტულ გეგმას ან მისი განხორციელების გზებს. უნივერსიტეტი სიაში აღნიშნულ გარკვეულ საქმიანობას ახორციელებს, თუმცა მობილობაში ჩართულ თანამშრომელთა და სტუდენტთა რაოდენობა ჯერ კიდევ დაბალია. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობენ უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები: 2014-2015 წლებში 4 პროფესორი, 2015-2016 წლებში - 18 პროფესორი / მასწავლებელი; 2016-2017 წლებში - 20 პროფესორი / მასწავლებელი; 2017-2018 წლებში - 26 პროფესორი / მასწავლებელი.

საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მობილობის გზით სტუმრობს უცხოურ უნივერსიტეტებს: 2014-2015 წლებში 13 აკადემიური პერსონალი, 2015-2016 წლებში - 8 აკადემიური პერსონალი; 2016-2017 წლებში - 16 აკადემიური

/ ადმინისტრაციული პერსონალი; 2017-2018 წლებში - 17 აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი.

სტუდენტები მობილობის გზით სტუმრობენ უცხოურ უნივერსიტეტებს (სასწავლო/პრაქტიკული მიზნებით: 2014-2015 წლებში - 4 სტუდენტი; 2015-2016 წლებში - 3 სტუდენტი; 2016-2017 წლებში - 15 სტუდენტი; 2017-2018 წლებში - 16 სტუდენტი.

უცხოელი სტუდენტები მობილობის გზით სტუმრობენ თელავის უნივერსიტეტს: (სასწავლო/პრაქტიკული მიზნით): 2015-2016 წლებში - 1 სტუდენტი; 2016-2017 წლებში - 2 სტუდენტი.

პროექტებში ჩართული აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი: 2014-2015 წლებში - 16 აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი; 2015-2016 წლებში - 18 აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი; 2016-2017 წლებში - 19 აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი; 2017-2018 წლებში - 21 აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი.

ეს პროექტები შეიცავს მცირე საერთაშორისო კვლევით საქმიანობას და არ გულისხმობს ერთობლივ პროგრამებს.

ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ეფექტურობის ზრდა, განსაკუთრებით, კვლევის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებთან.
უნივერსიტეტის სტრუქტურა (ფაილი 2.1).
სტრუქტურული ერთეულების რეგულაციები: რეგლამენტი უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის შესახებ (ფაილი 2.2; ფაილი 2.3).
საქმისწარმოების წესი (ფაილი 2.4).
ბიზნეს პროცესის უწყვეტობის გეგმა (ფაილი 2.5).
მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა (ფაილი 2.6).
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (ფაილი 2.7).
საერთაშორისო თანამშრომლობა, ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება (ფაილი 2.8).
საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით თანამშრომელთა და სტუდენტთა კვლევის შედეგები (ფაილი 2.10).
ვებგვერდი (tesau.edu.ge).

რეკომენდაციები:

ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის დეტალური გეგმის შემუშავება და მისი სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინტერნაციონალიზაციის წარმატებისთვის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ეფექტურობის ზრდა.

აუცილებელი ფუნქციების შემატების მიზნით AEMS-ის სისტემაში დეტალური გეგმისა და ვადების შემუშავება.

რჩევები:

არა.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მუშაობას და მათ შესაბამისობას ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, როგორებიცაა დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. უნივერსიტეტმა შეისწავლა თავისი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურები. აკადემიური პერსონალი ფასდება სტუდენტების გამოკითხვის შედეგებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად, მაგალითად: აქტიური მონაწილეობა მიმდინარე კვლევებში, კვლევითი გრანტების მიღება, სამეცნიერო ნაშრომების და წიგნების გამოცემა, ვორქშოპებზე, სემინარებსა და კონფერენციებზე დასწრება. ადმინისტრაციული პერსონალი ფასდება სხვა თანამშრომლების გამოკითხვის, მენეჯერის პირდაპირი შეფასებითა და მათი შესრულებული საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშებით. უნივერსიტეტი ასევე აფასებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, თუმცა, ფორმალურად არ არის განსაზღვრული მოსწრების გაუმჯობესებისთვის შემდგომი საჭირო ნაბიჯები. ახალი და მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და შეფასების კითხვარების მეშვეობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა გარკვეული პროცედურები, რომლებსაც აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იყენებს PDCA (დაგეგმვა, კეთება, შემოწმება, მოქმედება) ციკლს უწყვეტ შეფასებასთან დაკავშირებით, თუმცა თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, PDCA ციკლი გამოიყენება მხოლოდ შეფასებისა და განხორციელების მიზნით, ვიდრე რეალური პროცესების დანერგვისათვის. უნივერსიტეტის მენეჯმენტი იყენებს ხარისხის უზუნველყოფის განყოფილების მიერ სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის ჩატარებული კვლევის შედეგებს უნივერსიტეტში მიმდინარე ისეთი პროცესების გასაუმჯობესებლად, როგორებიცაა: სამუშაო გარემო, კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება, ორგანიზაციული კულტურა, ადმინისტრაცია, პერსონალის განვითარება და მატერიალური რესურსები. კვლევაში მონაწილეობა არ არის სავალდებულო. ასეთ კვლევას დაბეჭდილი კითხვარებისა და პირდაპირი გამოკითხვის გზით ატარებენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები.

ამგვარი კვლევები ამცირებს მონაწილეთა გულწრფელი პასუხების ალბათობას, ამიტომ მიზანშეწონილია კვლევის განსხვავებული მიდგომის გამოყენება. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ ონლაინ კვლევების ჩატარებას, მაგრამ ამჟამად სისტემა ეფუძნება ძირითადად, ნაბეჭდ კითხვარებს. კვლევების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, რეკომენდებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და კვლევების შემუშავება სწავლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (AEMS).

სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტური ორგანოს დაგეგმვის მექანიზმები და ისინი დეტალურად განსაზღვრულია დოკუმენტში "მეთოდოლოგია პერსონალისა და სტუდენტების და "MARGINAL" სტუდენტური ორგანოს თანაფარდობის განსაზღვრისთვის". მექანიზმები ითვალისწინებს რამდენიმე მახასიათებელს, როგორიცაა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი / ბაზები (ფიქსირებული და ლიკვიდური აქტივები, ბიბლიოთეკის რესურსი), ადამიანური რესურსი (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული, დამხმარე პერსონალი და პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირები) და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა. თითოეული პროგრამისთვის პროფესორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მინიმალური რაოდენობის განსაზღვრისა და სტუდენტი / თანამშრომლის სასურველი თანაფარდობის გარდა, სტუდენტური ორგანოს დაგეგმვის პროცესი დაფუძნებული შემდეგ პარამეტრებზე:

- მაქსიმალური საკლასო საათობრივი დატვირთვა კვირის განმავლობაში.
- აუდიტორიების რაოდენობა;
- აუდიტორიების საათობრივი და საკვირაო დატვირთვა;
- აუდიტორიებში ჯგუფების რაოდენობა;
- ჯგუფების რაოდენობა:
  ჯგუფის სასწავლო დატვირთვა კვირაში;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები მენეჯმენტთან, აკადემიური პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სტუდენტებთან.
შიდა შეფასების მექანიზმები ხარისხის უზრუნველყოფისათვის (CD3 თანდართული ფაილი 2.11).
კვლევები და მათი შედეგები (CD 3 თანდართული ფაილი 2.12).
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეგულაცია (CD 2 თანდართული ფაილი 2.2 თანდართული ფაილი 2.2.19).
პროგრამის შეფასების ფორმები (CD 3 თანდართული ფაილი 2.11 თანდართული ფაილი 1).
პერსონალის შეფასების ფორმები (CD 3 თანდართული ფაილი 2.11 თანდართული ფაილი 2).
სტრატეგიული განვითარების გეგმა (CD 2 თანდართული ფაილი 1.2).
მეთოდოლოგია პერსონალისა და სტუდენტების და "MARGINAL" სტუდენტური ორგანოს თანაფარდობის განსაზღვრისთვის(CD 3 თანდართული ფაილი 2.14).
სწავლების პროცესის რეგულირების წესი (CD 4 თანდართული ფაილი 3.11).
ანგარიში ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ (CD3 თანდართული ფაილი 2.13).

რეკომენდაციები:

თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების დანერგვა კვლევის სისტემების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

განიხილეთ PDCA ციკლის ჩართვა პროცესების განხორციელების ეტაპზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არა.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და ყველა სტუდენტი, ისევე როგორც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ვალდებულია წაიკითხოს და დაიცვას იგი. კონფლიქტის მოგვარება ეთიკის კომიტეტის პრეროგატივაა. ინტერვიუების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სტუდენტი და პერსონალის წევრი ვალდებულია ეთიკის კოდექსი წაიკითხოს, ზოგიერთი სტუდენტი და ლექტორი კარგად არ არის ინფორმირებული ეთიკის კოდექსის შესახებ, ისინი მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ფლობენ ეთიკის კომიტეტის არსებობისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ეთიკის კოდექსი ასევე განმარტავს, რომ უნივერსიტეტი აკადემიური თავისუფლების პრინციპებს იცავს. თუმცა, ამ დოკუმენტში პრინციპები მოცემულია მხოლოდ ზოგადად და არ შეიცავს დეტალურ აღწერას, მიუხედავად ამისა, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლების ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ინტელექტუალური თავისუფლება საგანმანათლებლო და კვლევით კონტექსტში, რწმენის, გამოხატვისა და დისკუსიის და გამოკვლევის თავისუფლებას.

პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირებისთვის, უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრულია დოკუმენტში "პლაგიატის გამოვლენის წესი", თუმცა უნივერსიტეტს არ აქვს პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მკაფიო მექანიზმები. Erasmus +-ის (INTEGRITY) პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი გეგმავს ისეთი კომპიუტერული სისტემის დანერგვას, რომელიც გამოავლენს პლაგიატს. თუმცა, პლაგიატის გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფა არ არის საკმარისი, განსაკუთრებით ქართული ტექსტების შემთხვევაში. ასეთი პროგრამა არის დამატებითი ინსტრუმენტი, მაგრამ ის ვერ ჩაანაცვლებს პლაგიატის გამოვლენის სისტემას, რომელიც, უნდა ემსახურებოდეს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას, ასევე, სხვადასხვა ტიპის პლაგიატის გამოვლენისთვის საჭირო მექანიზმების შექმნას. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მათგანი არ ფლობს ინფორმაციას უნივერსიტეტში მსგავსი მექანიზმების არსებობის შესახებ. აუცილებელია სხვადასხვა სახის პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავება და ამ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები უსდ-ს მენეჯმენტთან, ეთიკის კომიტეტის ხელმძღვანელთან, აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებთან.
ეთიკის კოდექსი(ფაილი2.15)

პლაგიატის გამოვლენის წესი (ფაილი 2.16). შიდა რეგულაცია (ფაილი 2.17).
რეკომენდაციები: პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მკაფიო მექანიზმების შემუშავება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობის ზრდა. სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება ეთიკის კოდექსის შესახებ.
რჩევები: ეთიკის კოდექსში აკადემიური თავისუფლების პრინციპებისა და მათი მხარდაჭერის მექანიზმების მკაფიო განსაზღვრა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული პროცესი, (კერძოდ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და მექანიზმის არსებობა) აღწერილია შესაბამის დოკუმენტებში თუმცა, არ არსებობს რეგულაციები იმ უფლებამოსილი პირებისა (მაგ. დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი ან რომელიმე პროფესორი) და ფაქტორების შესახებ, რომლებიც ქმნიან საგანმანათლებლო პროგრამებს და უზრუნველყოფენ ამ პროცესებს. თანამშრომლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი (აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტის წევრები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები) არ ფლობენ სრულ ინფორმაციას იმის შესახებ თუ ვის შეუძლია პროგრამის შემუშავება და რა ფაქტორები მოახდენენ გავლენას მისი დანერგვის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი პროგრამის შესწავლამდე იკვლევენ ბაზარს. ამ პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, პოტენციური სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. დაინტერესებულ მხარეებთან

ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათი ჩართულობა, ძირითადად, ფორმალურია და მათ არ შეუძლიათ პროგრამების გაუმჯობესების მიზნით წინადადებების შემოთავაზება. არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომელიც რომელიმე პროგრამის განვითარებაში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობას ადასტურებს.

იმისათვის, რომ ახალი კურსი შეესაბამებოდეს საბაზრო მოთხოვნებს, საჭიროა კონკრეტული მეთოდოლოგია. ზოგიერთი პროგრამის კურსი არ არის განახლებული, ან განახლებულია არსებული აკადემიური პერსონალის რესურსებით, და არა კონკრეტულ სფეროში მაღალკვალიფიციური ლექტორის მოწვევის ხარჯზე.

კვლევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, პოტენციური აბიტურიენტებიც მონაწილეობენ. საზოგადოებრივი და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ინტერვიუში განმარტეს რომ ისინი ასაქმებენ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას და ზოგჯერ პროგრამებისა და შედეგების შემუშავების მიზნით მონაწილეობენ პროგრამის შეფასების პროცესში.

საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია პროგრამა დახუროს და სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა გააგრძელონ სწავლა იმავე უნივერსიტეტის სხვა პროგრამებზე ან სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა ერთობლივად დაინერგება. ეს ფაქტი ასევე დასტურდება მემორანდუმით, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას. პარტნიორ უნივერსიტეტებთან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო სასურველია ამ მიმართულებით მუშაობის გაზრდა.

პროგრამის განვითარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამათა უწყვეტ განვითარებასა და განახლებას ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მონიტორინგი; ეს პროცესები მიმართულია იქით, რომ დადგინდეს რომელი კურსებია ყველაზე რთული, რამდენად შეესაბამება კურსების შინაარსი მისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობას; თუმცა კურსების პროგრამებითვის გამოყოფილი საათები არ შეესაბამება ამ პროგრამებისთვის გათვალისწინებულ კრედიტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი.

შრომითი ბაზრის ანალიზი.

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევა

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, დანერგვა, განვითარება და გაუქმება.

ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ვებგვერდი (tesau.edu.ge).

რეკომენდაციები:

დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება მათი წინადადებების ეფექტურად განხილვისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის ხშირი კვლევა და მისი მორგება ცვალებად საჭიროებებთან, მაგ. პროგრამებში პრაქტიკაზე ორიენტირებული და განახლებული სასწავლო კურსების დამატება.

კურსების ისე შედგენა, რომ სტუდენტებს კრედიტები მიენიჭოთ შესასწავლი მასალის მოცულობის მიხედვით, რაც დაკავშირებულია საკონტაქტო საათებთან. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს უფრო ეფექტურად მიაღწიონ სასწავლო მიზნებს.

რჩევები:

არა

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არა

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიურ მომზადებას და უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ახალი პროგრამის შექმნის პროცესში უნივერსიტეტი ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობას და ECTS სისტემას. პროგრამის სასწავლო შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს და უზრუნველყოფს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. თუმცა, ინტერვიუებში პერსონალი აღიარებს, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ეს კომპონენტი არ არის ადვილად მიღწევადი. კერძოდ, როდესაც სტუდენტს აქვს ვერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი ცოდნის შეფასება რთულია, პროფესორი იყენებს შეფასების წერილობით მეთოდს, სადაც ნაკლებ ყურადღებას უთმობს სტუდენტის ვერბალურ უნარ-ჩვევებს. ეს მნიშვნელოვანია ცოდნის გადმოცემის უნარის განვითარებისა და შესაბამისად, პროგრამის სასწავლო შედეგების მისაღწევად.

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის კომპონენტებთან. ავტორიზაციისთვის წარმოდგენილი ყველა სასწავლო პროგრამა მოიცავს არჩევით და თავისუფალ კომპონენტებს. სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ კურსები თავიანთი მოთხოვნების შესაბამისად. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, ჰქონდეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის შესაძლებლობა.

კონკრეტული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად დადგენილი ვადები გონივრულადაა შერჩეული.

პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტების სასწავლო დატვირთვა შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ლაბორატორიული მეცადინეობა და პრაქტიკული და დამოუკიდებელი სამუშაო. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო შედეგების მისაღწევად თითოეული კურსისთვის გამოიყოს აკადემიური საათების საკმარისი რაოდენობა.

პროგრამის ზოგიერთ სავალდებულო კომპონენტში საკონტაქტო საათები ლექციასა და სემინარებს/ სამუშაო ჯგუფებს შორის არასწორადაა გადანაწილებული. პანელი მიიჩნევს, რომ სასწავლო შედეგების სრულად მისაღწევად ორსაათიან სავალდებულო კურსებს უნდა დაემატოს სემინარებისთვის/ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი ორი საათი.

უნივერსიტეტში პროგრამის კომპონენტების მოცულობა (სასწავლო კურსი, კვლევა, პრაქტიკა) განისაზღვრება შინაარსის, სასწავლო შედეგებისა და დარგობრივი სპეციფიკის მიხედვით. რეგულირებადი პროფესიები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. უნივერსიტეტი ატარებს სხვადასხვა ტიპის კვლევას და საჭიროებათა ანალიზს საზოგადოებისა და სტუდენტების ცვალებადი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. პანელმა შეისწავლა ყველა შესაბამისი დოკუმენტი, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კმაყოფილებასთან დაკავშირებული კვლევები. დაინტერესებულ მხარეებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დაადგინეს, რომ შესაბამისი სასწავლო შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტი ცდილობს სასწავლო კურსების შემუშავებას დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუებში აღინიშნა, სტუდენტების აკადემიური მიღწევის მონიტორინგი ხორციელდება ყოველ სემესტრში და შედეგები განიხილება შესაბამისი საბჭოების მიერ.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამა პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავს". პროგრამის უკეთესი შედეგების, დასაქმების მაჩვენებლისა და კონკურენტუნარიანობისათვის რეკომენდებულია, რომ ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა შეიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სწავლების მეთოდები შეესაბამება კონკრეტულ სფეროებს და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. თანამშრომლებმა გაიარეს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგი და შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ სწავლების თანამედროვე მეთოდები. თუმცა, კურსის სილაბუსების უმეტეს ნაწილში გამოყენებულია სწავლების ძველი მეთოდები.

პანელის თანახმად, ყველა სილაბუსი უნდა შემუშავდეს დარგის სპეციფიკის შესაბამისად და უნდა იყოს ინდივიდუალური. ეს ხელს შეუწყობს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნა შემცირდა. მენეჯმენტი აღიარებს, რომ ეს თბილისში არსებულ უნივერსიტეტებს შორის გაზრდილი კონკურენციის შედეგია და ზოგი სტუდენტი რეგიონებში განათლების მიღებას დედაქალაქში სწავლას ამჯობინებს.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი დაინტერესებულ მხარეებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობას აცნობს. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ფაკულტეტები ჩართულია მარკეტინგულ კამპანიებში. უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინტერვიუებისას თანამშრომლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საზოგადოებრივ კამპანიაზე, რომლებსაც ისინი ღია კარის დღეების ფარგლებში რეგულარულად ატარებენ სკოლებსა და უნივერსიტეტში. პროგრამების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოპოვება თავისუფლადაა შესაძლებელი რადგან პროგრამის კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თუმცა, ვებგვერდზე წარმოდგენილი ზოგიერთი პროგრამის კატალოგი უნდა განახლდეს, რადგანაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა ვებ-გვერდზე წარმოდგენილ და დოკუმენტებში ასახულ ინფორმაციას შორის.

უნივერსიტეტში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი. თუმცა აუცილებელია, დაწესებულებას ჰქონდეს სხვადასხვა საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგია და მათთვის ინდივიდუალური პროგრამების, სასწავლო მასალის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეთავაზებისა და სასწავლო გარემოში ადაპტირების შესაძლებლობა.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე აპლიკანტები ირიცხებიან საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. უნივერსიტეტში სწავლების თითოეულ საფეხურზე ჩარიცხვა მოიცავს სპეციალურ პროცედურებს. სამაგისტრო აპლიკანტებმა უნდა ჩააბარონ სპეციალობის გამოცდა და ასევე დაადასტურონ ინგლისური ენის შესაბამისი კომპეტენცია, დოქტორანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის კომპეტენცია, თითოეული პროგრამისთვის უცხო ენის გარკვეული დონე ინდივიდუალურადაა განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა უმრავლესობა ინტერვიუს ქართულ ენაზე წარმართავს და მათთვის ძნელია ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამებისა და კურსების სილაბუსი.

სადისერტაციო საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი.
სამაგისტრო და სადოქტორო თეზისებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების მომზადებისა და დაცვის სილაბუსები.
სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციები.
საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

ვებგვერდი (tesau.edu.ge).

რეკომენდაციები:

ვებგვერდის სიზუსტის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგების განახლება.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა, რათა კურსდამთავრებული ეფექტურად მომზადდეს დასაქმებისათვის.

სხვადასხვა საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის მეთოდოლოგიის შემუშავება, მათთვის ინდივიდუალური პროგრამების, სასწავლო მასალისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეთავაზება.

თითოეულ პროგრამაზე უცხო ენის ცოდნის დონე უნდა განისაზღვროს დაშვების წინაპირობად, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამებისთვის, რათა სტუდენტებს დაბრკოლებების გარეშე შეეძლოთ კვლევის ჩატარება.

რჩევები:

არა

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არა.

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შედგენილია კურსის ავტორთა მიერ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. კურსის თითოეულ სილაბუსში მითითებულია შეფასების კომპონენტები, რაც მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ შიდა რეგულაციები მუდმივი განახლების პროცესშია ისინი შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინტერვიუებში თანამშრომლები აცხადებენ, რომ კურსის სილაბუსების დაგეგმვის პროცესში მათ აქვთ შეფასების კომპონენტების, სწავლების მეთოდებისა და კურსის შინაარსის მოდიფიცირების თავისუფლება და არ არიან ვალდებულნი, დაიცვან სილაბუსები აკრედიტებული წესით. თუმცა, კურსების უმეტესობაში ლექტორები იყენებენ იმავე შეფასების მეთოდებს. უმჯობესია სილაბუსისა და შეფასების მეთოდის შემუშავება კურსის სპეციფიკის მიხედვით. კურსის სილაბუსთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისში და სასწავლო პროცესში მას აქვს შესაძლებლობა თვალყური ადევნოს საკუთარ შეფასებებს, მიღწევებს, ჰქონდეს კონტაქტი ლექტორთან ლექციების პროცესში და კონსულტაციის საათებში, რათა მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე შესაბამისი რეაგირება. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ზოგადი კურსების შეფასების სისტემა უნდა დაიგეგმოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით და რა თქმა უნდა, კურსის სპეციფიკაციებზე დაყრდნობით. მაგალითად, სტაჟირება შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციებით და არა წერილობითი გამოცდის მეშვეობით. ინტერვიუებში სტუდენტები აცხადებენ, რომ დაბალი აკადემიური მიღწევების შემთხვევაში ლექტორები შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევენ, მაგრამ ზუსტად არ აუხსნიათ, თუ როგორ ხორციელდება ეს პროცესი. პანელი ვარაუდობს, რომ აუცილებელია მოსწავლის ცოდნისა და შრომის ხარისხის გაზრდის მხარდამჭერი მექანიზმის არსებობა, მაგალითად, თანატოლებმა ერთმანეთს ასწავლონ, ან სხვა ფორმით. უნივერსიტეტს მოქმედებს სამართლიანი შეფასების სისტემით და ხელმძღვანელობს შესაბამისი რეგულაციებით. ინტერვიუებში სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაასაჩივრონ მათი შეფასების შედეგები. ისინი იცნობენ გამოცდების გადადების წესებს, როდის და როგორ უნდა მიმართონ საგამოცდო ცენტრს (შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვონ ნამუშევრის გადახედვა, მოთხოვნისა/განცხადების საფუძველზე შეფასების შეცვლა) და ფაკულტეტს. თითოეული სტუდენტის აკადემიური მოსწრება გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ახდენს მის ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი. ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
• უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. • უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული პერსონალის მართვის სისტემა, რომლის ძირითადი პრინციპებია თანასწორობა, სამართლიანობა, ღიაობა, კვალიფიკაცია და რეკრუტირება. მენეჯმენტის პოლიტიკა უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების შესაბამისობას უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სტრატეგიისა და ფუნქციონალური მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დამსახურებაზე დაფუძნებული დამოკიდებულება, სამართლიანობა, თანასწორობა და გამჭვირვალობა. პერსონალის მართვის პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად საფეხურებს: შრომითი რესურსების დაგეგმვა, დასაქმება/ შერჩევა; პერსონალის განვითარება (შრომის ანაზღაურების, პრივილეგიების, ადაპტაციისა და სწავლების დეფინიცია), სამუშაოების შეფასება და შედეგების მიხედვით რეაგირება. ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დანიშვნა ხორციელდება "აკადემიური პერსონალის დასაქმების ინტეგრირებული წესის შესახებ" დებულების შესაბამისად. პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანია. საკადრო ცვლილებების რაოდენობა კორელაციაშია ახალ გამოწვევებთან და გარემო ფაქტორებთან. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 104. უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა 28-ს შეადგენს. თანამშრომელთა და

პროგრამებს შორის თანაფარდობა დაახლოებით 4/1-ს უდრის. თანამშრომლებთან ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, პერიოდულად ტარდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროცედურები. მოთხოვნების განსასაზღვრად ტარდება კვლევები უნივერსიტეტში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით. კვლევის შედეგების საფუძველზე სამიზნე ჯგუფებისთვის დაიგეგმა კონკრეტული სასწავლო კურსები. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს უწყვეტი განათლების სხვადასხვა სასწავლო კურსის შეთავაზებას, რომლებიც, ძირითადად, დაინტერესებულ მხარეთა მიერ უფასოდ იქნება წარმოდგენილი. ასევე, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ორი სახის კვლევა პერსონალის მართვისათვის, პირველ რიგში თანამშრომლების (ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, მოწვეული პერსონალის) შეფასება, რაც ანონიმურია; და დასაქმებულთა მეორე ტიპის შეფასება დამსაქმებლის პოზიციიდან. ამავე დროს, უნივერსიტეტი გეგმავს მართვის პროცესებში გამოიყენოს შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები.

პერსონალის მენეჯმენტის სისტემის საფუძველზე ახალი პერსონალი შეფასებისა და კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით დაინიშნა. უნივერსიტეტი მონაწილეობდა იურიდიულ დავაში "ანა აბაშიძე უნივერსიტეტის წინააღმდეგ". რომელიც უნივერსიტეტმა პირველი და უმაღლესი ინსტანციების სასამართლოში მოიგო.

უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია ხარისხის კონტროლის მექანიზმებსა და მათ ფუნქციონირებაზე.

უნივერსიტეტი მკაფიოდ განსაზღვრავს და ორგანიზებას უწევს შრომის ანაზღაურების საკითხს. მიუხედავად ამისა, წინა წლების მსგავსად, ბიუჯეტი არ ითვალისწინებს რაიმე ბონუს გეგმას და ფინანსური მოტივირებისათვის გამიზნულ საქმიანობას. მიუხედავად ამისა, თანამშრომლები პერსონალის მენეჯმენტის სისტემაში მითითებულ საერთაშორისო/ადგილობრივ პროექტებს ესწრებიან. აქედან გამომდინარე, თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის შესასრულებლად. მეორე მხრივ, პერსონალის განვითარებისა და გადამზადებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მხოლოდ 5000 ლარს შეადგენს. უნივერსიტეტი ბიბლიოთეკის განვითარებას აფინანსებს 35 ათასი ლარით, კვლევას 35,000 ლარით, სამეცნიერო ხარჯებს 25,000 ლარით, საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებს 23,500 ლარით. ეს ხელს უწყობს პერსონალის მენეჯმენტსა და განვითარებას. ასევე, ლექციებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშესაწყობად ბიზნესის სფეროდან მცირე რაოდენობის პერსონალია მოწვეული.

უნივერსიტეტი მკაცრად იცავს აფელირების პირობებს მხარს უჭერს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართვას განათლების, კვლევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუ ადამიანური რესურსების დეპარტამენტთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან.

2018 წლის ბიუჯეტი, პერსონალური განვითარების სისტემის მუხლი N16 27/03/2018.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების დოკუმენტი.

პერსონალის მართვის პოლიტიკა (CD 5 თანდართული ფაილი 4.1.).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს აღწერილობა (CD 5 თანდართული ფაილი 4.6 და CD 3 თანდართული ფაილი 2.2 (სამუშაოს აღწერილობა მოცემულია წესებში).

თანამშრომლებთან გაფორმებული კონტრაქტების ნიმუშები (CD 5 თანდართული ფაილი 4.7). პერსონალის განაწილება მათი ასაკისა და სქესის მიხედვით (CD 5 თანდართული ფაილი 4.3). პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (CD 5 თანდართული ფაილი 4.2). პერსონალის მართვის ეფექტურობის შეფასების წესები და კვლევები (CD 5 თანდართული ფაილი 4.5).
რეკომენდაციები: ლექციების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების გაუმჯობესების მიზნით რეგიონალური კერძო და საჯარო სექტორიდან პროფესიონალების მოწვევა . პერსონალისთვის სრულყოფილი ტრენინგების ჩატარების მიზნით ბიუჯეტის ზრდის განხილვა. (4.1)
რჩევები: თანამშრომელთა მხრიდან ვალდებულებების შესრულების ხარისხის ასამაღლებლად ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ფინანსური მოტივაციის გეგმის დანერგვა (4.1).
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4,2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტმა დანერგა აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, კონტრაქტით მოწვეული პროფესორებისა და ლექტორების ყოველწლიური სწავლებისა და სამეცნიერო-მეთოდოლოგიური დატვირთვის სქემა, რომელიც განსაზღვრავს მათი სამუშაო დატვირთვის კრიტერიუმებს, უფრო კონკრეტულად, ყოველწლიური აკადემიური სამუშაოს მოცულობას და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საათობრივ სტანდარტებს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება1000 საათით. აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, კონტრაქტით მოწვეული პროფესორებისა და ლექტორების ყოველწლიური სწავლებისა და სამეცნიერო- მეთოდოლოგიური დატვირთვის სქემა განსაზღვრავს მათი სამუშაო დატვირთვის ნორმებს, კონკრეტულად, ყოველწლიური აკადემიური დატვირთვის მოცულობას და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საათობრივ სტანდარტებს. ყოველი სემესტრის დასაწყისში, ინდივიდუალური დატვირთვისა სემესტრული სქემის საათების რაოდენობაზე დაყრდნობით უნივერსიტეტი ანაწილებს საათებს აკადემიური პერსონალისთვის. სემესტრის ბოლოს კი მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოსა და

აკადემიური დატვირთვის მაჩვენებელთა შეჯერება. აკადემიური დატვირთვისა და სამეცნიერო საქმიანობის კრიტერიუმები გამოიყენება, როგორც აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, მოწვეული პროფესორებისა და ლექტორების ყოველწლიური დატვირთვის ძირითადი კომპონენტები.

უნივერსიტეტის რექტორის, ვიცე-რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, დეკანის, თანაშემწე დეკანის, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელის ყოველწლიური დატვირთვა შემცირდა 50%-ით, რაც, შესაბამისად, აისახა სახელფასო სქემაზე.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განიხილავს და აფასებს აკადემიური პერსონალის, პედაგოგებისა და სპეციალისტთა ყოველწლიური აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის დატვირთვის შედეგებს. უნივერსიტეტი ნათლად წარადგენს პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ პროფესორებისა და ასისტენტების ყოველკვირეული დატვირთვის ანგარიშს.

უნივერსიტეტი იცავს აკადემიური პერსონალის აფელირების წესს, პერსონალის ყოველკვირეული აკადემიური დატვირთვა არ აღემატება 22 საათს, რაც, კვლევითი დატვირთვის ჩათვლით, შეესაბამება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზღვარს. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (96 ადამიანი) აფელირებულია უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 104. უმაღლესი განათლების საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა არის 28. თანამშრომლებსა და პროგრამებს შორის თანაფარდობა შეესაბამება 4/1 პროპორციას. მენეჯმენტისა და სამუშაო დატვირთვის მოცემული სტრუქტურა უნივერსიტეტს შესაძლებლობას წარმატებით განახორციელოს სწავლებისა და კვლევის პროცესები.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტის ბიუჯეტის, სტრატეგიული გეგმისა და პრიორიტეტების შესაბამისად უნივერსიტეტი გეგმავს აკადემიური პერსონალის ოპტიმიზაციას, სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აფელირებული აკადემიური პერსონალის წახალისებას, სთავაზობს უცხო ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უფასო კურსებსა და ტრენინგს თემაზე "თანამედროვე სწავლების მეთოდები".

ადვოკატთან გასაუბრებით გაირკვა, რომ უნივერსიტეტს დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით ჰქონდა ექვსი სასამართლო პროცესი, რომლებიც უნივერსიტეტის სასარგებლოდ დასრულდა. უნივერსიტეტისთვის ანა აბაშიძის საქმე იყო ერთგვარი გამოწვევა, რომელმაც ხელი შეუწყო პერსონალის შერჩევის პროცესსა და შესაბამისი სტანდარტების ჩამოყალიბებას. ინტერვიუს მიხედვით, აღნიშნული სასამართლო საქმის შემდეგ უნივერსიტეტმა სპეციფიკური დეტალების გათვალისწინებით ცალსახად გამოკვეთა აკადემიური პერსონალის დანიშვნის კრიტერიუმები და ფორმალური მოთხოვნები. შესაბამისად, პერსონალთა დასაქმების მექანიზმი უფრო დეტალური და კონტროლირებადი გახდა.

უნივერსიტეტის სამოტივაციო სისტემა აერთიანებს შემდეგ კრიტერიუმებს: წახალისების მიზნით სერთიფიკატების გადაცემას, კონფერენციებში მონაწილეობასა და ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსებას. უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადების მიზნით დაინტერესებული მხარეები რეგულარულად ატარებენ უფასო ტრენინგებს.

დეპარტამენტების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ სამუშაო დატვირთვის დაგეგმვასა და კონტროლს ყველა ფაკულტეტზე. ეს პროცესი კარგად არი ორგანიზებული.

პერსონალის რესურსები კონტროლირდება უნივერსიტეტის პერსონალური მონიტორინგის სამსაფეხურიანი რეგულაციის შესაბამისად. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს. პერსონალი მიეკუთვნება უნივერსიტეტის ფუნქციური ფენის სპეციფიკურ განყოფილებას. პასუხისმგებლობების განაწილების მხრივ, უნივერსიტეტს აქვს სამსახურეობრივი პოზიციები, რომლებიც შესაბამისი უფლებამოსილების გათვალისწინებით ორგანიზებულად ემიჯნება ერთმანეთს.

ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო დონეზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სტუდენტების აზრით, სასურველია გაიზარდოს მოწვეული ლექტორების რაოდენობა. პარალელურად, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციით, უნივერსიტეტი ცდილობს ლექტორების მოზიდვას უცხოეთიდან (საფრანგეთი) და თბილისიდან.

უნივერსიტეტში, დასაქმებულნი არიან თბილისიდან მოწვეული ლექტორები და ამ პერსონალის სამუშაო დატვირთვის ძირითადი მაჩვენებელი მიმართულია სხვა უნივერსიტეტების, მთავრობისა და კერძო დაწესებულებებისკენ. ამის გათვალისწინებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს მოიწვიოს ლექტორები დედაქალაქიდან, რომლებიც კვირის განმავლობაში სტუდენტებს გაუზიარებენ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ყოველწლიურ სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებით(CD 5 დანართი 4.8, შეკვეთა 2/200).
აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემები, მათ შორის, სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც (CD 5 თანდართული ფაილი 4.8).
აკადემიური პერსონალის კონკურსისთვის წარდგენილი დოკუმენტები (კონკურსის გამოცხადების, არჩევის ან დანიშვნის ბრძანებები) (CD 5 მიმაგრებული ფაილი 4.4).
აფელირების წესი(CD 5 თანდართული ფაილი 4.9)
სტუდენტებსა და პერსონალს შორის არსებული თანაფარდობისა და სტუდენტების მაქსიმალური ზღვრული შეფასების მეთოდოლოგია (CD 5 attached file 4.10).
აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შესრულების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია (CD 4 თანდართული ფაილი 3.1).

რეკომენდაციები:

არა.

რჩევები:

ქართველ და უცხოელ მოწვეულ ლექტორთა რაოდენობის ზრდის განხილვა (4.2).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი რეგულაციები სტუდენტის სტატუსის, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და კვალიფიკაციის აღიარების შესახებ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი აკადემიური აქტივობის მონიტორინგი და ასევე, ადმინისტრაციის ელექტრონული პროგრამიდან (AEMS) სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღება. აღნიშნულ ელექტრონულ სისტემას ფართოდ იყენებენ სტუდენტები. შეხვედრებზე სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისურვებდნენ, IT დეპარტამენტს AEMS- ის ყველა ფუნქცია გაეაქტიურებინა, რადგან ახლა მათ მხოლოდ აკადემიური საქმიანობის მონიტორინგის შესაძლებლობა აქვთ. მათი მოთხოვნაა, მაგალითად, ის რომ, ჰქოდეთ შესაძლებლობა, AEMS-სისტემიდან ინფორმაცია მიიღონ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სტუდენტის სტატუსის შესახებ; ასევე, AEMS- სისტემას დაემატოს სილაბუსები, რაც სტუდენტების სწავლის პროცესს უფრო ეფექტურს გახდის. უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტების უფლებებისა და სამართლებრივი ინტერესების დაცვაზე. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ სტუდენტები ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების დაცვას. სტუდენტები ხელმოწერამდე ეცნობიან ხელშეკრულების შინაარსს, ხელშეკრულების ერთი ასლი გადაეცემა სტუდენტს. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ეთიკის კომიტეტის არსებობის თაობაზე, რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს. გასაუბრებისას ადმინისტრაციულმა პერსონალმა წარმოადგინა საქმე, რომელიც ეხებოდა სტუდენტებსა და საგამოცდო ცენტრს შორის არსებულ კონფლიქტს. აღნიშნული საქმე განიხილეს ფაკულტეტის საბჭოზე, რომელშიც სტუდენტიც

მონაწილეობდნენ. ფაკულტეტის საბჭოს ჩანაწერის მიხედვით, ეს საკითხი სტუდენტების უფლებების დარღვევის გარეშე მოგვარდა. გარდა ამისა, სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი. ამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს განიხილავს ეთიკის კომიტეტი.

ზემოთ განხილული საკითხების შესაბამისი სტანდარტები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციაში. პროცედურის დასაწყისში საუბარია სტუდენტთა უფლებებზე. პროცედურის ყველა ნაბიჯი, რომელიც სტუდენტის უფლებებსა და სამართლებრივ ინტერესებს ეხება, არის გამჭირვალე, სამართლიანი და შეესაბამება კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სწავლების პროცესის რეგულირების წესი.

საგამოცდო ცენტრის რეგულაცია.

თესაუ-ს შიდა რეგულაცია.

ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

AEMS -ის ყველა ფუნქციის ამოქმედება

რჩევები:

არა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არა.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე, ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და მუდმივად გეგმავს საგანმანათლებლო პროცესებს. დეკანის თანაშემწეები რეგულარულად აკვირდებიან სტუდენტთა პირად საქმეებს და სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ მათ შესაბამისი ინფორმაციით. ამ პროცესების სამართავად ყველა დეკანს

ჰყავს ასისტენტი. ასევე, აკადემიური პერსონალი დამატებით დროს უთმობს სტუდენტების კონსულტაციას, რაც აკადემიური კურსის სილაბუსშია აღწერილი.

უნივერსიტეტს ჰყავს კარიერული განვითარების მენეჯერი, რომელიც სტუდენტებს შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდის. ინტერვიუს დროს კარიერული განვითარების მენეჯერმა განაცხადა, რომ ეს სამსახური შეიქმნა 2018 წლის იანვარში. ამ დროისთვის მენეჯერი მარტო ასრულებს თავის მოვალეობას. მაგრამ რექტორმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და მენეჯერმა განაცხადა, რომ ისინი უკვე მუშაობენ აღნიშნული სფეროს გაფართოებისთვის, იგეგემება, რომ ეფექტური შედეგების მისაღებად დამატებით დასაქმდეს 3-4 ადამიანი. მენეჯერთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ სტუდენტების სამომავლო კარიერის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო და საჯარო სექტორებთან. სტუდენტებისთვის ეფექტური კარიერული მხარდაჭერის სერვისები აქტიურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გეგმავს ამ სერვისის ოპტიმიზაციას, რათა ის უფრო პერსონალური გახადოს. ეს ოფისი უფრო მეტად იქნება ორიენტირებული თითოეულ სტუდენტზე და მათთვის ინდივიდუალურად იმუშავებს. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს შესაბამისი ინფორმაციით, რაც მათთვის მართლაც ღირებული და ინფორმაციული იქნება. კარიერული განვითარების მენეჯერი სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. ინტერვიუების დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სტუდენტებს შეტყობინებებს ელ-ფოსტასა და ტელეფონის ნომრებზე უგზავნიან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პირადი, პროფესიული და აკადემიური განვითარების კვლევას. კურსდამთავრებულები აცხადებენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან იღებენ პროფესიული და აკადემიური განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციას.

 უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს სტუდენტების სოციალურ აქტივობებს. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. უნივერსიტეტს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები საგანმანათლებლო მობილობისა და სამეცნიერო კვლევების ფარგლებში; თუმცა ეს პროცესები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. ეჭვგარეშეა, ასეთი სახის გამოცდილება დაეხმარება სტუდენტებს, აითვისონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა შემდგომი პროფესიული და ინდივიდუალური განვითარებისათვის. თუმცა გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის სტატისტიკური მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ძირითადად, სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას, რომ არსებობს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგრამ ისინი განმარტავენ, რომ არ ფლობენ დეტალურ ინფორმაციას.

ნათელია, რომ უნივერსიტეტი ეფექტურად უწყობს ხელს დამატებით კლასგარეშე ღონისძიებებს, როგორებიცაა, სპორტი, ხელოვნება და სხვა სტუდენტური აქტივობები. სპორტული აქტივობისთვის სტუდენტებს აქვთ ფეხბურთისა და კალათბურთის მოედანი, დარბაზი და სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცე. თუმცა, აღნიშნული ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას. ასევე, სტუდენტური

თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობს სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში. უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებზე და სთავაზობს მათ სხვადასხვა სოციალურ და აკადემიურ აქტივობას. უნივერსიტეტმა განახორციელა საერთაშორისო პროექტი "DARE". პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუწია ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთათვის განკუთვნილ აკადემიური კურსებს. კურსების მიზანია მხარი დაუჭიროს ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობაში მყოფ ახალგაზრდებს და გააუმჯობესოს მათი ენობრივი კომპეტენცია. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს ამ პროექტში მონაწილე სტუდენტების შედეგების კვლევის არცერთი ანგარიში. უნივერსიტეტი სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის გადახდის ინდივიდუალურ ცხრილს ადგენს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს სტუდენტებს შეავსონ კერძო ან საჯარო სექტორის გრანტების მისაღებად საჭირო განაცხადი. ასევე, უნივერსიტეტი სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებას ბიზნეს სექტორში მოიძიებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ფაკულტეტების რეგულაციები. საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. დებულება სტუდენტთა კარიერული განვითარების მენეჯერის ზოგადი წესების შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის რეგლამენტი. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. სპორტისა და კულტურის კოორდინირების წესები. სტუდენტების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ინიციატივები / პროექტები. სწავლის საფასურის გადახდის წესი. თესაუს სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება. კურსდამთავრებულთა შესახებ კვლევის შედეგები მათი კარიერისა და აკადემიური განვითარების თვალსაზრისით. სოციალურად დაუცველი სტუდენტის მხარდაჭერის მნიშვნელობა და შედეგები. ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: დამოუკიდებელი სტუდენტური სერვის ცენტრების შექმნა სტუდენტთა აქტივობების, დაკვალიანებისა და კარიერული განვითარების მხარდასაჭერად. ხელი შეუწყვეთ სტუდენტების მეტ ჩართულობას საერთაშორისო აქტივობებში, მაგალითად, გაცვლით პროგრამებში.
რჩევები: არა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშსა და ადგილობრივ ბიზნესებთან გაფორმებულ მემორანდუმებშია ნათქვამი, უნივერსიტეტს აქვს მკაფიო სტრატეგია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის კვლევის მიმართულებით. არსებობს წამყვან ადგილობრივ მეღვინეებთან თანამშრომლობის მტკიცებულებები. კომპანიების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ უნივერსიტეტს გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები, რაც მათ ღირსეულ პარტნიორად წარმოაჩენს. მაგალითად, კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტი "ცნობილი ღვინის მწარმოებელია". კომპანიები მხარს უჭერენ უნივერსიტეტს. მაგალითად, ისინი უნივერსიტეტის სამაგისტრო სტუდენტებს კვლევისთვის თავიანთი რესურსების გამოყენებას სთავაზობენ. კომპანიებს აქვთ მოლოდინები რეგიონში უნივერსიტეტის როლზე მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით: "კახეთს სჭირდება კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაეხმარება სფეროს განვითარებას. მაგალითად, ჩვენ გვჭირდება ვაზის ვირუსებისგან დაცვის გზების შემუშავება. საქართველოში აღარ ვაკეთებთ ამას. კვლევის არარსებობის გამო ქართული მეღვინეობა ვერ ვითარდება. საბჭოთა პერიოდში განაცალკევეს ღვინის წარმოება და მევენახეობა, თუმცა, ეს სფეროები ერთიანი სახით უნდა არსებობდეს. ჩვენ მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ მკვლევარებთან და მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა კვლევაში, რათა ისევ აღორძინდეს მეღვინეობა." რეგიონის გუბერნატორმა გამოთქვა სურვილი შეეწყოს უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი ინსტიტუტის განვითარებას. მას აქვს მკაფიო ხედვა რეგიონში უნივერსიტეტის პოტენციური როლის თაობაზე. გუბერნატორმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება უნივერსიტეტის როლის წამოწევაზე მევენახეობისა და ღვინის წარმოების სფეროში. მან ასევე ხაზი გაუსვა ხელისუფლების მხრიდან მტკიცე მხარდაჭერის მნიშვნელობას და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.

დაინტერესებულ მხარეებსა და პერსონალთან ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მხარე ეთანხმება უნივერსიტეტის სტრატეგიას განავითაროს

საკუთარი კვლევითი შესაძლებლობები, რამეთუ ეს ხელს შეუწყობს რეგიონში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს.

კვლევითი საქმიანობისთვის განკუთვნილია 10 დეპარტამენტი და ერთი კვლევითი ცენტრი: სოფლის მეურნეობა და ქიმია; ეკონომიკა და ტურიზმი; ქართული ფილოლოგია; უცხო ენები და ლიტერატურა; ისტორია; განათლების მეცნიერებები; ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებები; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; მათემატიკა; ინფორმატიკა და ფიზიკა; ასევე კავკასიის კვლევითი ცენტრი ფილოლოგიის განყოფილებაში. ექსპერტებმა განიხილეს უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროფესორების რეზიუმეები და სტატიები რათა შეეფასებინათ, გაეანალიზებინათ და განესაზღვრათ მათ მიერ კვლევაში შეტანილი კოლექტიური წვლილი. 10 ფაკულტეტის წევრებმა 2010-დან 2018 წლამდე გამოაქვეყნეს 42 სტატია, მათ შორის:. 1 ავტორის 4 სტატია ენის სწავლებასთან დაკავშირებით, 2 უნივერსიტეტთან აფელირებული ავტორის 10 სტატია კლიმატის ცვლილებისა და ამინდის შესახებ (ჩვეულებრივ, 3-დან 7-მდე თანაავტორის მიერ), 8 სტატია ერთი ავტორის მიერ მედიცინის სფეროში, ერთი ავტორის 2 სტატია კლიმატისა და ამინდის შესახებ, ერთი ავტორის 2 სტატიია სოფლის მეურნეობის სფეროში, ერთი ავტორის 2 სტატია საქართველოს ისტორიის შესახებ, 1 სტატია მეღვინეობის შესახებ, ერთი სტატია ისტორიის სფეროში, ერთი ავტორის 3 სტატია ქართულ ფილოლოგიაში, ერთი ავტორის 1 სტატია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი იყო 39 სტატია. მათგან 17 სტატია რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული. დანარჩენი გამოქვეყნებულია ინგლისურ ენაზე. სტატიების უმრავლესობა გამოქვეყნდა რუსულენოვან ღია ჟურნალებში (მაგ., ევროპელი მკვლევარი, ევროპული მედიცინის ჟურნალი, ევროპის გეოგრაფიული კვლევები, ცენტრალური ევროპის ბოტანიკის ჟურნალი, ბიოლოგიური კვლევის რუსული ჟურნალი, რუსული მეტეოროლოგია და ჰიდროლოგია). ჟურნალების განთავსება არ შეიძლება სკოპუსის სიებში და მხოლოდ ორი მათგანია ტომპსონის სიაში. ძალიან დაბალია სხვა ავტორების მიერ სტატიების ციტირების მაჩვენებელი.

ათი დეპარტამენტიდან ოთხს აქვს 21 მიმდინარე ან დაგეგმილი კვლევითი პროექტი:

სოფლის მეურნეობა: ცოტა ხნის წინ შეძენილი მიწების კვლევა და სხვადასხვა ყურძნის ჯიშებისთვის საჭირო ოპტიმალური პირობების დადგენა, კახეთის რეგიონის ღვინის ჯიშების აღწერითი კვლევები, თელავის მუნიციპალიტეტის ნიადაგის აგროქიმიური კარტოგრაფია, კახეთის რეგიონის მარცვლოვანი კულტურების რუქის შემუშავება.

ჰუმანიტარული მეცნიერებები: მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების ეპისტოლარული ნამუშევრების შესწავლა და გამოქვეყნება, ქართველი მწერლების ეპისტოლარული ნაწარმოებები (დაფინანსებულია ეროვნული კვლევის ფონდის მიერ). სტრუქტურული სადოქტორო პროგრამის შემუშავება ტექსტის ლინგვისტიკასა და გამომცემლობაში. საქართველოს მაღალმთიანეთში არსებული კულტურული ძეგლების ინტერაქტიული 3D რუკის შექმნა, დრონისა და GIS ტექნოლოგიის გამოყენებით, (ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოებისთვის წარდგენილი წინადადება); კვლევის ჩატარება ახალი ტექსტური ლინგვისტიკის საკითხებსა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების შესახებ; იოსებ გრიშაშვილის ნაწარმოებების ლინგვისტური კვლევები; მინიატურული პროზის შესწავლა; ქართული ზღაპრების შესწავლა უცხოურ ბიბლიოთეკებში; ღვინის ცნების ლინგვისტური და სემანტიკური კვლევა ქართულ და ფრანგულ ენებში; თელავის ისტორიის შესწავლა;

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები კახეთის რეგიონში; ქალაქები და სოფლები კახეთის რეგიონში.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაციის პროექტი.

სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი: პროექტი (დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ) მიზნად ისახავს უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებას.

უნივერსიტეტს აქვს ძლიერი პოტენციალი, ხელი შეუწყოს რეგიონალურ და ეროვნულ განვითარებას. თუმცა, ამ დროისთვის უნივერსიტეტი არ იძლევა საკმარის მტკიცებულებას იმისას, რომ მისი პერსონალი "აწარმოებს კვლევას, ახდენს განვითარებას, ახორციელებს შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის განვითარებას რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე."

საუნივერსიტეტო აკადემიური პერსონალის უმრავლესობას არ აქვს პუბლიკაციები სანდო, რეფერირებად ჟურნალებში. ფაკულტეტის წევრების მხოლოდ მცირე რაოდენობას აქვს პუბლიკაციები, რომელთა ნაწილიც გამოქვეყნებულია რეფერირებად ჟურნალებში. თუმცა, პუბლიკაციების უმრავლესობა გამოცემულია ჟურნალებში, რომლებიც ზოგადად არ არის აღიარებული კვლევით საზოგადოებაში. გარდა ამისა, ტურიზმი გამოცხადებულია კვლევის სფეროს სტრატეგიულ პრიორიტეტად, თუმცა უნივერსიტეტი ამ სფეროში პასიურია.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების სტრატეგია გულისხმობს "უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის გამოქვეყნებას, რათა აკადემიურმა პერსონალმა ახალი კვლევით გააუმჯობესოს სწავლების პროცესი ". ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა რამდენიმე პუბლიკაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პუბლიკაციების ხარისხის გათვალისწინებით (მაგალითად,2016 და 2017 წლების ყოველწლიური კვლევითი კრებულის სტატიები) მოცემული კვლევითი ნაშრომების გამოყენებამ სწავლების პროცესში შეიძლება გამოიწვიოს კვლევის სტანდარტების არასწორი გაგება.

უნივერსიტეტმა განსაზღვრა დოქტორანტების/მკვლევარების ხელმძღვანელების ფუნქციები. დოქტორანტის ხელმძღვანელი პროფესორის სამუშაო დატვირთვა წელიწადში 40 საათია და პროფესორს შეუძლია 3 დოქტორანტის ხელმძღვანელობა ერთი წლის განმავლობაში. ამ საკითხში უნივერსიტეტის რეგულაციები შეესაბამება სტანდარტებს.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა დისერტაციის დაცვისა და შეფასების წესები. თუმცა, როგორც სადისერტაციო ნაშრომების ნიმუშების განხილვამ და დოქტორანტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, სერიოზულ პრობლენას წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრო კვლევების ხარისხი, რომელიც მაღალ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს. არ არსებობს მტკიცებულება, რომ სტუდენტებს აქვთ საკმარისი შესაძლებლობა გაიგონ, თუ რას გულისხმობს აკადემიური კვლევა. მაგალითად, დოქტორანტებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ სტუდენტებს არ შეუძლიათ თავიანთი კვლევის მეთოდოლოგიის ან თეორიული ჩარჩოს აღწერა. სტანდარტებთან შეუსაბამობას სადისერტაციო თეზისებიც ადასტურებს. ზოგიერთი

მათგანი ოცდაათამდე სიტყვითაა აღწერილი. თეზისების უმრავლესობა არ შეიცავს სტუდენტის ნაშრომის მიზნებს, მეთოდებს, ან შედეგებს. მტკიცებულების მესამე წყაროა სამეცნიერო რეფერატების ნიმუშები. სადოქტორო დისერტაციის ზოგიერთი ნაშრომი სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სხვები კი, მაგ., სოფლის მეურნეობაში, აჩვენებს, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ საკმარისი შესაძლებლობა გამოეყენებინათ თანამედროვე წყაროები, ლიტერატურის წყაროების უმრავლესობა გამოცემულია 50-იან -70-იან წლებში. სადისერტაციო ნაშრომები მოცემულია მათ შეფასებებთან ერთად. სტუდენტის ნაშრომი არაა შეფასებული დაწესებული კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა, კრიტერიუმები ზოგადია და შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს ინდივიდუალურად, მაგალითად, "რამდენად კარგად არის რეფერატში წარმოდგენილი ვიზუალური მასალა."

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მისიის ტექსტი.
სტრატეგიული განვითარების გეგმა.
უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
თვითშეფასების ანგარიში და მისი დამხმარე დოკუმენტები.
სამოქმედო გეგმა.
მიმდინარე და ჩატარებული კვლევითი პროექტები.
აკადემიური პერსონალის CV-ები.
CD7, 6.16.
CD7, 6.2.
 კვლევების კრებული, 2017 32-ე გვერდი, მოძიებულია
http://tesau.edu.ge/files/uploads/4/Dakabadonebuli_krebuli_20171.pdf [20/06/2018].
უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიები.
CD7, 6.8.
CD7, 6.8.
CD5, 4.2.
CD7, 6.7.
სადისერტაციო ნაშრომების ნიმუში.
CD7, 6.8.
CD7, 6,5.
CD5, 4.2.
სადისერტაციო ნაშრომების ნიმუში.

რეკომენდაციები:

კვლევის ნაყოფიერებისა და კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობების ზრდა (6.1).
საუნივერსიტეტო პუბლიკაციებისა და მსგავსი მასალების გავრცელების სტანდარტების განსაზღვრა, რათა თავიდან იყოს აცილებული ისეთი სამეცნიერო ნამუშევრის გავრცელება, რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ აკადემიურ სტანდარტებს (6.1).
შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური საქმიანობის მაღალ სტანდარტებს (6.1).

რჩევები:

არა

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

კომუნიკაცია და საუნივერსიტეტო ხედვის გაზიარება ადგილობრივ ბიზნესსა და ხელისუფლებასთან (6.1).

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მისიის ტექსტიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი გამოხატავს სწრაფვას ცოდნის "შენების, გაზიარებისა და შენახვისკენ". კვლევის შესაძლებლობების განვითარებაც სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებში, ექსპერტთა ჯგუფი ვერ ხედავს რაიმე მტკიცებულებას ან მნიშვნელოვან საქმიანობას ამ მიმართულებით. სამეცნიერო კვლევების მხარდასაჭერად უნივერსიტეტი თვითშეფასების ანგარიშში აცხადებს, რომ იგი თანამშრომლობს ბიზნეს სექტორსა და ფონდებთან, რეგულარულად აწყობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს. უნივერსიტეტმა კონკურენტული სამეცნიერო გრანტებისთვის ბიუჯეტის 1.2%, ანუ 35,000 ლარი გამოყო. არსებული პროცედურები გამჭვირვალეა.

უნივერსიტეტმა დაამტკიცა, რომ შეუძლია დაფინანსების მოძიება გარე წყაროებიდან, მაგალითად, ეროვნული კვლევითი ფონდის გრანტი 2018 წლის ბიუჯეტში და პრეზიდენტის ფონდი.

უნივერსიტეტს არ აქვს შესაბამისი აღჭურვილობა: სასოფლო-სამეურნეო კვლევა უნივერსიტეტისთვის პერსპექტიული დარგია, თუმცა უნივერსიტეტს არ აქვს შესაბამისი აღჭურვილობა კვლევის განსახორციელებლად. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი ძალისხმევა გაიღო ლაბორატორიის აღჭურვისთვის, მაგალითად, შეიძინა ახალი ტექნიკა პრეზიდენტის ფონდის მიერ გაცემული გრანტიდან. საქართველოს მთავრობასა და გერმანიის სააგენტოს შორის ორმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე არსებობს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული განვითარების პერსპექტივა, თუმცა, ამ ეტაპზე, გაურკვეველია, თუ რამდენად შეეხება ინვესტიცია კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რადგან ინვესტიცია მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების გაძლიერებას.

უნივერსიტეტის კვლევითი შესაძლებლობების განვითარების სტრატეგია აღწერს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და თვითშეფასების ანგარიშს, იგი სტრატეგიული განვითარების გეგმაში განიხილავს ზოგიერთ საქმიანობას, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ კვლევითი შესაძლებლობების საკითხებს. როგორც "კვლევისა და ხელოვნების მხარდასაჭერ აქტივობებში"-ა აღნიშნული, "უნივერსიტეტი, კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით, მხარს უჭერს კვლევის ინტეგრაციას

სწავლებაში. სტუდენტები მონაწილეობენ კვლევაში; თანაავტორობენ კვლევითი პროექტებს; სილაბუსები რეგულარულად გამდიდრებულია თანამედროვე ლიტერატურით; ტარდება საჯარო ლექციები და შეხვედრები ცნობილ მკვლევარებთან. ადგილზე ვიზიტის დროს, კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შესახებ დასმულ კითხვებზე, რექტორმა და ვიცე რექტორმა განაცხადეს, რომ ბიბლიოთეკის რესურსების გაუმჯობესება და პუბლიკაციის ხარჯების დაფინანსება არის სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც ისინი ხელს უწყობენ კვლევითი საქმიანობის განვითარებას. ექსპერტებმა ვერ აღმოაჩინეს კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები.

კვლევითი შესაძლებლობების აქტივობათა აღწერა არ არის თანმიმდევრული: წერილობითი მტკიცებულებები და ინტერვიუები ვერ ადასტურებენ, რომ არსებობს ერთობლივი და მკაფიო ხედვა იმ გამოწვევების თაობაზე, რომლებიც ხელს უშლიან უნივერსიტეტის კვლევითი შესაძლებლობების განვითარებას. აქიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ როგორ უკავშირდება უნივერსიტეტის საქმიანობა სტრატეგიულ მიზნებს.

თვითშეფასების ანგარიში და პერსონალთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტების პრაქტიკაში ახალი პერსონალის მოზიდვა გულისხმობს კურსდამთავრებულებისათვის აკადემიური თანამდებობის შეთავაზებას. პერსონალის რეზიუმეების მიმოხილვა ამყარებს ამ თეზას: არსებობს რამდენიმე ახალგაზრდა პროფესორი, რომლებმაც უნივერსიტეტში სულ ცოტა ხნის წინ დაამთავრეს დოქტორანტურა და მიიღეს ასისტენტ პროფესორის პოზიციები. თუმცა, გამოითქვა მოსაზრება აკადემიური პერსონალის ასაკობრივი ფაქტორის გავლენასთან დაკავშირებით რამდენიმე კვლევით მიმართულებაზე. მაგალითად სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ფაკულტეტის წევრთა საშუალო ასაკი 65 წელია. თუ უნივერსიტეტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო სფეროს დასახვა კვლევის პრიორიტეტად, ახალი პერსონალის მოსაზიდად უნდა გამოიყენოს ახალი სტრატეგიები.

ზოგიერთი დეპარტამენტი, მაგალითად, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, ჩართულია საკმაოდ წარმატებულ კვლევით აქტივობებში. თუმცა ზემოთ აღწერილი საქმიანობები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას თანამშრომლობის ხასიათის შესახებ. ეს ეხება დასრულებულ პროექტებს. უფრო მეტიც, აქტივობების უმრავლესობა არ გულისხმობს რაიმე კვლევით საქმიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

მისიის ტექსტი.
სტრატეგიული განვითარების გეგმა.
უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
თვითშეფასების ანგარიში და მისი დამხმარე დოკუმენტები.
სამოქმედო გეგმა.
6,10.
6,11.
6,9.
7,22.
6,12.
6,13.

რეკომენდაციები:

საუნივერსიტეტო კვლევის მხარდამჭერი საქმიანობის დაკავშირება კვლევის განვითარების მკაფიოდ განსაზღვრულ გამოწვევებთან.
სტრატეგიის დანერგვა, რაც უნივერსიტეტს დაეხმარება კონკურენცია გაუწიოს სხვა უნივერსიტეტებს ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვაში.
უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის დაკავშირება უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და განვითარების საჭიროებებთან.

რჩევები:
არა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
არა.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა მიიღო ბოლოდროინდელი შეფასების ანგარიში, რომელიც ასახავს გარე შემფასებლის, ეროვნული სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოთქმულ უკუკავშირს. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ უნივერსიტეტი ატარებს კვლევითი საქმიაობის შიდა შეფასებას. თუმცა, ექსპერტებს არ უნახავთ შიდა შეფასების წერილობითი დოკუმენტი. ეს გულისხმობს, რომ კვლევითი საქმიანობა არაოფიციალურად ფასდება, სავარაუდოდ, თითოეული სფეროს მენეჯერის მიერ.

ზემოთხსენებული გარე შეფასების შედეგები განიხილეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან. თუმცა, უნივერსიტეტმა არ წარმოადგინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება მისი საპასუხო რეაქცია შეფასების შედეგებზე. აქედან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი შეფასების შედეგებს თავისი სამეცნიერო აქტივობების განსავითარებლად.

არ არის ნათელი, თუ რა მიმართებაა პერსონალის კვლევის შეფასების სისტემასა და უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას შორის. სისტემა კრედიტის დაგროვების საშუალებას იძლევა რეფერირებად ჟურნალში ერთი სტატიის გამოქვეყნების გარეშეც. მაგალითად, ბოლო ორი წლის განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომების ზედამხედველობით მინიჭებული ქულაა 9, ხოლოდ რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია 10 ქულით ფასდება. შეფასების სისტემა გულისხმობს, რომ უნივერსიტეტისთვის, ამ ეტაპზე პრიორიტეტი არ არის კვლევის ან სტატიის გამოქვეყნების ინტერნაციონალიზაცია. შეფასების ჯგუფს არ შეეძლო აღნიშნული სტრატეგიის გამართლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

6,14
6. 15

6. 16 ვებ-გვერდი (tesau.edu.ge).
რეკომენდაციები: კვლევის შედეგების გაუმჯობესების მიზნით თითოეული განყოფილების კვლევის შედეგების შიდა შეფასების სისტემის ჩამოყალიბება; უნივერსიტეტის პუბლიკაციების ხარისხისა და ეთიკური კვლევის მკაფიო ინდიკატორების ჩამოყალიბება; საუნივერსიტეტო კვლევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის.
რჩევები: არა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა, რათა მოემსახუროს ყოველწლიურად ჩარიცხულ სტუდენტებს, მისი მიწის საერთო ფართობია 63,000 მ 2, 13 შენობა, არასასოფლო სამეურნეო მიწის 12,703 მ2 და 160,000 მ2 სასოფლო სამეურნეო მიწა კვლევისა და პრაქტიკული სამუშაოსთვის. ვიზიტის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტის შენობები მოიცავს სალექციო დარბაზებს, სასემინარო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ჯგუფური სამუშაობისთვის ოთახებს, ადმინისტრაციულ სამუშაო ოთახებს, საკონფერენციო დარბაზებსა და განყოფილებებს. არსებობს უნივერსიტეტის არქივისთვის განკუთვნილი სივრცე, სამუშაო გარემოს ორგანიზებისთვის გამოყოფილია ოთახები ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალისთვის. ფოიეები ყველა სართულზეა განთავსებული. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. იგი მდებარეობს ცალკე შენობაში. უნივერსიტეტს ასევე აქვს რეკრეაციული ზონა.

საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უნივერსიტეტში ნაწილობრივ გარემონტდა სალექციო აუდიტორიები და განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შენობის ნაწილი მთლიანად გარემონტებულია) და ამავე დროს უნივერსიტეტი სამთავრობო გრანტის მოლოდინშია რათა სრულად გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა. სტუდენტების განცხადებით, პრეზენტაციების ჩასატარებლად არ არის საკმარისი რაოდენობის პროექტორი, რის გამოც რიგრიგობით უწევთ პროექტორით სარგებლობა. სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რეაქტივებითა და მასალებით, რომლებიც აუცილებელია ანალიზისა და კვლევების ჩასატარებლად. მათი შენახვისა და გამოყენების პირობები შეესაბამება კანონით დადგენილ სტანდარტებს.

უნივერსიტეტსა და კერძო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, უნივერსიტეტის თითოეულ სართულზე არის მუდმივი განათება, ვენტილაცია და წყალმომარაგება. მიმდინარეობს მუდმივი სადეზინფექციო სამუშაოები. სადეზინფექციო და მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებები შენობებშიც მიმდინარეობს. ყველა შენობაშია ცენტრალური გათბობის სისტემა, ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (თანდართული ინსტრუქციით) და ევაკუაციის გეგმა განთავსებულია თითოეულ სართულზე, როგორც ცენტრალურ ისე, საევაკუაციო გასასვლელში. კახეთის სახანძრო სააგენტოს აუდიტის მე-6 პუნქტი უნდა შესრულდეს და ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემა უნდა შემოწმდეს და აღიჭურვოს კანონის მე -2 მუხლის , მე-13 თავის, მე-7 პუნქტის მიხედვით.

უნივერსიტეტს აქვს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ევაკუაციის გეგმა, რომელიც რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით N2 / 299, 14/03/2018. უნივერსიტეტში სპეციალური ნორმებია დაწესებული უსაფრთხოებისა და დისციპლინის უზრუნველსაყოფად. დამონტაჟებულია დაცვის ვიდეოკამერები (ვიდეოჩანაწერების შენახვის ფუნქციით), დაცვის თანამშრომლები ატარებენ უნივერსიტეტის შენობებისა და გარე სივრცეების მონიტორინგს და უზრუნველყოფენ უსაფრთხოების და დისციპლინის, ისევე როგორც სტანდარტებისა და ინვენტარის დაცვას. თანამშრომლების მონათხრობის თანახმად, უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებსა და ხანძრსაწინააღმდეგო ინვენტარის სწორი გამოყენების შესახებ.

სანიტარული განყოფილება განთავსებულია კორპუსის ნომერ 1 აუდიტორიაში და მისი წლიური ბიუჯეტი 1 500 ლარია. პირველადი დახმარების სამედიცინო ცენტრი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. იგი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებით. ცენტრი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციით, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით. სამედიცინო ცეტრი აკმაყოფილებს მედიკამენტების შენახვის სტანდარტებს. უნივერსიტეტს ჰყავს პროფესიონალი ექთანი პერსონალისა და სტუდენტებისათვის პირველადი

სამედიცინო დახმარების გასაწევად, სამედიცინო დახმარების გეგმა, მუხლი N5 14/03/2018 შესაბამისად.

ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის შენობები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს განახლებას. პირველი სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაციის ფინანსური ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და შეთანხმებულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და წარდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნით. ძირითადი სასწავლო შენობების რეაბილიტაცია მოკლევადიან პერიოდში შეიძლება განხორციელდეს.

კახეთის რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის დარგების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტს აქვს 160,000 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო მიწა. უფრო მეტიც, ის ფლობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და აღჭურვილობას საბაზისო კვლევისა და საცდელი სამუშაოებისთვის. შერეული ბაღის სადემონსტრაციო ნაკვეთი (2,500 კვ.მ.) მდებარეობს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (მისამართი: #1, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა, თელავი)

ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები განლაგებულია შემდეგ საკადასტრო კოდებზე: 532042052, 532034035, 530934034, როგორც სამხარაულის ანგარიშშია მითითებული, მიწაზე განლაგებული ყველა შენობა არ ეკუთვნის უნივერსიტეტს. თუმცა საჯარო რეესტრის ნოტაში ისინი უნივერსიტეტის ბალანსზეა. მეორე მხრივ, თანამშრომლებმა განმარტეს, რომ სამხარაულის ანგარიშში შეცდომა იყო.

უნივერსიტეტის ყველა შენობის შესასვლელი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის, თუმცა სხვა სართულებზე მსგავსი რამ ხელმისაწვდომი არ არის. უნივერსიტეტის პირველ სართულზე შშმ პირებისთვის გამოყოფილია სპეციალური სანიტარიული უბნები და სპეციალური ავტოსადგომი. შშმ სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მათ სწავლის პროცესის პირველ სართულზე დაგეგმვას შესთავაზებს.

ვიზუალური აუდიტის საფუძველზე, დადგინდა, რომ შენობაში არ არის უსაფრთხოების ნიშნები მაღალ ძაბვასთან დაკავშირებით და საჭიროა მათი მითითება.

IT ლაბორატორიები აღჭურვილია UPS სისტემით. თუმცა ალტერნატიული ენერგიის წყარო ყველა შენობაში მექანიკურად ირთვება.

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი მარკეტინგის ბიუჯეტის (3500 ლარი) 50 პროცენტს იყენებს, შესაბამისად, ხელს უწყობს კურსდამთავრებულებისა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტების დასაქმების ზრდას, მეორე მხრივ, მარკეტინგისა და პერსონალის ტრეინინგისთვის უნივერსიტეტს მხარს უჭერს თელავის საკრებულო, რომელიც, მაგალითად, უფასო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

საბუღალტრო ჯგუფის მიხედვით, უნივერსიტეტების კურსებზე მოთხოვნისა და შემოსავლების პროგნოზი გამოითვლება ყოველწლიური განაცხადების საშუალო

მაჩვენებლით, რომელიც წელიწადში საშუალოდ 340 სტუდენტს შეადგენს. ასევე, უფრო ზუსტი რიცხვების მისაღებად სასარგებლო იქნება წლიური ზრდის კოეფიციენტის (CAGR) დანერგვა. ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ძირითადი შენობის რეკონსტრუქცია 2019-2020 წლებშია დაგეგმილი, ხოლო ორი სხვა შენობა შეიძლება განახლდეს საერთაშორისო გერმანული დონორი ორგანიზაციების დახმარებითა და მხარდაჭერით. შესაბამისად, შესაძლებელია ნომერ პირველი სტრატეგიული მიზნის მიღწევა. სარეაბილიტაციო პროექტის ბიუჯეტი სამთავრობო ორგანოებს გადაეცა და მშენებლობის პროცესი მალე დაიწყება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ინტერვიუები უსაფრთხოების მენეჯერთან, მატერიალური რესურსების მენეჯერთან, იურისტთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფიქსირებული აქტივების შესახებ (CD8 თანდართული ფაილი 7.1.). მშენებლობის შიდა გაზომვის პროექტები (CD9 თანდართული ფაილი 1). ლიკვიდური აქტივების შეძენისა და მიწოდების კონტრაქტები, გამავრცელებლების, ინვოისების, მიწოდების აქტების (CD8 თანდართული ფაილი 7.2) შესრულების დამადასტურებელი კონტრაქტები. სტაჟირების / კვლევითი ერთეულების ხელმოწერილი კონტრაქტები (CD8 თანდართული ფაილი 7.3). სტუდენტებისა და პერსონალის კვლევის შედეგები მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით (CD8 attached file 7.4). სანიტარულ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება (CD8 თანდართული ფაილი 7.6). ექსპერტის ანგარიში ცენტრალური გათბობისა და სავენტილაციო სისტემის სათანადო მდგომარეობის შესახებ (CD8 თანდართული ფაილი 7.5). ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების წესები (CD8 თანდართლი ფაილი 7.7). ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადასახადების ქვითრები (CD9 თანდართული ფაილი 2 და 3). ექსპერტის ანგარიში მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ (CD8 attached file 7.8). კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის განყოფილების მიგნებები ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ (CD8 attached file 7.9). ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია შენობების შიგნით პანდუსების მოწყობის თაობაზე და მიწოდება-ჩაბარების აქტი (CD9 თანდართული ფაილი 4).
რეკომენდაციები: შენობების რეაბილიტაცია აუცილებელია სტუდენტებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად. დარწმუნდით, რომ ყველა შენობას აქვს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო სისტემები. დარწმუნდით, რომ ყველა ნაგებობა ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.
რჩევები: არა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
o ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა განთავსებულია ცენტრალურ აკადემიურ კორპუსებთან ახლოს მდებარე ორსართულიან შენობაში. ბიბლიოთეკაში არის წიგნების არქივი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის პერსონალის საოფისე ფართი, შეხვედრებისა და ჯგუფური სამუშაო ადგილები და IT აღჭურვილობა, რომელიც სტუდენტებსა და პერსონალს საჭირო სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა აღჭურვილია თექვსმეტი ინტერნეტთან დაკავშირებული პერსონალური კომპიუტერით. თუმცა სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ ბიბლიოთეკაში უფრო მეტი პერსონალური კომპიუტერი სჭირდებათ, რადგან ზოგჯერ უწევთ ლოდინი კომპიუტერით სარგებლობისთვის. ამისათვის ბიბლიოთეკას აქვს გარკვეული რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, სტუდენტებს 2 საათით შეუძლიათ კომპიუტერის გამოყენება. ასევე, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი (Wi-Fi). სტატისტიკა აჩვენებს, რომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზის გამოყენების მაჩვენებელი ძალიან დაბალია და ზოგიერთ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას საერთოდ არ იყენებენ. ეს სიტუაცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბოლო და წინა წლებში უნივერსიტეტმა ამ კუთხით მხოლოდ 5000 ლარის ინვესტიცია განახორციელა. ამიტომაა, რომ მათ არ გააჩნიათ მრავალფეროვანი ელექტრონულ მონაცემთა ბაზა და ამ მონაცემთა ბაზების გამოყენების დონე დაბალია. წელს ბიუჯეტი ამ მიმართულებით გაიზარდა და უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის უფრო მეტი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შეძენას გეგმავს. ელექტრონული ბაზების ცნობადობის მაჩვენებელი სტუდენტებში ძალიან დაბალია. ინტერვიუების დროს უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ აქვთ ზოგადი ინფორმაცია, რომ ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული ბაზები, თუმცა უმეტეს შემთხვევაში არცერთ სტუდენტი არ იყენებს ამ ბაზებს. როგორც ჩანს, აკადემიური პერსონალი სწავლების მეთოდოლოგიის ფარგლებში უცხოურ რესურსებს ფართოდ არ იყენებს. უნივერსიტეტს სჭირდება მეტი ფინანსური რესურსი ელექტრონული მონაცემთა ბაზებისთვის და მას ჰყავს ბიბლიოთეკის ისეთი პერსონალი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს ამ ბაზებით სარგებლობაში. წელს უნივერსიტეტმა ელექტრონულ რესურსებზე თითქმის 10,000 ლარი დახარჯა. ელექტრონულ მონაცემთა ბაზებისა და წიგნების დაფინანსების საერთო ბიუჯეტი შეადგენს 35,000 ლარს. ელექტრონული მონაცემთა ბაზები და წიგნები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ამ პროცესების მონიტორინგისთვის ბიბლიოთეკას ელექტრონული კატალოგი უკავშირდება EVERGREEN სისტემას. ამ პროგრამას გააჩნია მოქნილი საძიებო სისტემა, რომელიც ეხმარება ბიბლიოთეკას მოიძიოს ლიტერატურა ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში. ბიბლიოთეკას გააჩნია მრავალი წიგნის ელექტრონული ვერსია რათა დააკმაყოფილოს სტუდენტების მოთხოვნები სასწავლო პროგრამის შედეგების მისაღწევად. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს უფროსი ბიბლიოთეკარი, სამი მთავარი სპეციალისტი და ოთხი სპეციალისტი. ინტერვიუების დროს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ისინი სტუდენტებს აწვდიან სათანადო ინფორმაციას ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ, თუმცა კარგი იქნება გაზარდონ თავიანთი კომპეტენცია ინგლისურ ენაში, რათა უფრო მეტად დაეხმარონ სტუდენტებს. ბიბლიოთეკის თანამშრომლები

მჭიდროდ თანამშრომლობენ ყველა ფაკულტეტთან, უზრუნველყოფენ მათ საგნის სპეციფიკური წიგნებითა და ელექტრონული ბაზებით. ბიბლიოთეკა ორგანიზებას უწევს ტრენინგებს თანამშრომლების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის, თუ როგორ გამოიყენონ ელექტრონული ბაზები, მაგრამ ექსპერტებისთვის უცნობია, თუ რამდენად ხშირად ხდება ეს. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზის სხვადასხვა წარმომადგენელი სტუდენტებისთვის ონლაინ ტრენინგებსაც ატარებს.

ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია სათანადო ტემპერატურა და განათება ყველა სეზონის შესაბამისად. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, დილის 09:00 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე, კვირის გარდა, ასე რომ, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია 60 საათის განმავლობაში კვირის მანძილზე. ბიბლიოთეკის მომსახურება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უფასოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

წიგნების ფონდის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები

ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დოკუმენტი;

ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენების სტატისტიკა;

საბიბლიოთეკო რესურსებისა და მომსახურების განვითარებისა და განახლების საშუალებები.

ორგანიზებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები.

ბიბლიოთეკის გამოყენების წესები და ინსტრუქციები.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

დარწმუნდით, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია ინგლისურ ენაში, რათა ეფექტურად დაეხმარონ სტუდენტებს ელექტრონული ბაზის გამოყენებაში.

ბიბლიოთეკის საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფა თანამშრომლებისა და სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არა

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

უნივერსიტეტს გააჩნია ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც გამოქვეყნებულია მისიის, სტრატეგიის, ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კლასგარეშე საქმიანობის შესახებ არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

უნივერსიტეტს აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, რომელიც ავითარებს განათლებისა და ბიბლიოთეკის მიზნებისთვის აუცილებელ საინფორმაციო სერვისებს, ასევე ინტერნეტის ხელმისაწვდომობას კამპუსებში და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ინტერნეტისა და ტექნოლოგიების უსაფრთხოების საკითხები და შეიმუშაოს მექანიზმები, რათა სტუდენტებს შეეზღუდოთ სხვადასხვა სახიფათო საიტებზე წვდომა. ამჟამად სტუდენტებს ყველა ვებგვერდზე შესვლა შეუძლიათ.

უნივერსიტეტს აქვს ნაწილობრივ ფუნქციონალური სწავლების მართვის სისტემა, რომელიც ამჟამად სტუდენტებს მხოლოდ მათი კურსებისა და შეფასების ძირითად აღწერას სთავაზობს. სწავლების მართვის სისტემას აქვს ორი რეჟიმი: მენეჯერისა და სტუდენტის. ნიშნები სისტემაში შეჰყავთ მენეჯერებს, მას შემდეგ, რაც ლექტორები მიაწვდიან მათ. სისტემას არ გააჩნია ეფექტური ფუნქციები განათლების ისეთი ფუნქციების მართვისთვის, როგორიცაა სილაბუსები ან აუცილებელი საგანმანათლებლო მასალები, ან ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტმა დაიქირავა პროგრამული დეველოპერი სისტემის განვითარებისთვის და სამომავლოდ სისტემური ფუნქციონირების გაფართოებას გეგმავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუები საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთეულის თანამშრომლებთან.
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.tesau.edu.ge
ვებ-გვერდის მუშაობის პროცედურა (CD 8 თანდართული ფაილი 7.16).
კონტრაქტი ინტერნეტ პროვაიდერთან (CD 8 თანდართული ფაილი 7.17).
ინფორმაცია ელექტრონული მომსახურებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ (CD 8 attached file 7.18).
მართვის ელექტრონული სისტემებისა და ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები (CD 8 თანდართული ფაილი 7.19).
დომეინებისა და ჰოსტინგის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (CD 8 თანდართული ფაილი 7.20).
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების რეგულაცია (CD 3 თანდართული ფაილი 2.2 file 2.2.7).

რეკომენდაციები:

რეგულაციების შემუშავება სტუდენტების მიერ არასათანადო ან სახიფათო ვებ-გვერდების ხელმისაწვდომობის შესაზღუდად.

სწავლების მართვის სისტემის ფუნქციონირების გაზრდა განათლების პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

არა

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არცერთი

შეფასება

☐ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, 2013 წლიდან 2017 წლამდე სწავლის საშუალო წლიური გადასახადიდან შემოსავალი შეადგენს 2,821,625 ლარს, 2018 წლისთვის ბიუჯეტში სწავლის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 2,785,000 ლარს.

უნივერსიტეტის მთლიანი შემოსავლის 72,3%-ს შეადგენს სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი. გარე ფულადი სახსრების ოდენობა შეადგენს 752,307 ლარს, რაც სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაა გადმორიცხული: რუსთაველის ფონდი, საერთაშორისო დონორების გრანტები, სახელმწიფო სააგენტოების მიერ გამოყოფილი დაფინანსება, წინა წლის სწავლის საფასური. უნივერსიტეტი მთლიანი ბიუჯეტის 4,6 პროცენტს გრანტებიდან , ხოლო 1 პროცენტს სამთავრობო დაფინანსებიდან იღებს.

მოცემული ფინანსური რესურსებისა და საბიუჯეტო აქტივობების გათვალისწინებით რთულია სტრატეგიული გეგმის მე-8 მიზნის მიღწევა, რომელიც მოიცავს ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მატერიალური ბაზის განვითარებას. უნივერსიტეტი ვერ შეძლებს საკმარისი ფინანსური რესურსის გამოყოფას შენობების სამომავლო გაუმჯობესებისთვის. აქვე, 2018 წლის ბიუჯეტში შენობების მოვლისათვის მხოლოდ 50,000 ლარია გამოყოფილი. ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, N 1, 11, 12, 13 შენობები საჭიროებს განახლებას. ასევე, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმწიფო აუდიტმა გამოავლინა სუსტი მხარეები, ანგარიშის N 6 პუნქტი არ შესრულებულა, უნივერსიტეტს მხოლოდ 1,500 ლარი აქვს გამოყოფილი შენობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის რესურსები მიმართულია ისეთ ძირითად საქმიანობებზე, როგორიცაა განათლება და საწარმოო პრაქტიკა, სამეცნიერო კვლევა, კულტურა, სპორტი და საგანმანათლებლო ღონისძიებები. თანამშრომელთა გადამზადება ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა, თუმცა 194 თანამშრომლის გადამზადებისთვის მხოლოდ 5 ათასი ლარი,ხოლო, განათლებისა და საწარმოო პრაქტიკისთვის მხოლოდ 6 ათასი ლარია გამოყოფილი, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის უნივერსიტეტს აქვს 15,000 ლარის ბიუჯეტი, სამეცნიერო კვლევა 25 ათასი ლარით ფინანსდება. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი იღებს ალტერნატიულ ფინანსურ რესურსებს ადგილობრივი და გლობალური დაინტერესებული მხარეებისგან, როგორიცაა პრეზიდენტის ფონდი, რომელიც მხარს უჭერს ინსტიტუტის ფინანსურ მდგრადობას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს ლიკვიდური აქტივების მობილიზებას სამეცნიერო კვლევისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის. ბიბლიოთეკის განვითარებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 35 ათასი ლარი. ფინანსური რესურსების მართვა კონტროლდება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით და შედეგების აუდიტი მიმდინარეობს გარე მექანიზმის საშუალებით. შპს აუდიტ ეკონომიქსმა 2017 წელს ჩაატარა უნივერსიტეტის გარე აუდიტი. ჩატარებული აუდიტის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ფინანსური ანგარიშები ადასტურებს ფინანსური ინფორმაციის სისრულეს, სისწორესა და სამართლიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის ბიუჯეტი (CD 8 თანდართული ფაილი 7.22). სტრატეგიული განვითარების გეგმა (CD 2 თანდართული ფაილი 1.2). სამწლიანი სამოქმედო გეგმა (CD 2 თანდართული ფაილი 1.2). ინფორმაცია თესაუ-ს დაფინანსების წყაროების შესახებ (CD 8 თანდართული ფაილი 7.21). თესაუ-ს ფინანსური ანგარიში 2017 და 2013-2017 წლების დაფინანსების დინამიკა (CD 8 თანდართული ფაილი 7.23). პასუხისმგებლობების განაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების ფორმა და წესი(CD 8 თანდართული ფაილი 7.24). ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი (CD 8 თანდართული ფაილი 7.25).
რეკომენდაციები: უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების მიზნით შეეცადეთ მოიძიოთ ფინანსური რესურსები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.
რჩევები: არა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არა.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან